

1967



4

1967

მ

ჩვენთვის

კვირისთვის

საქართველო



საქართველოს თეატრალური საზოგადოების

# მოამბე

№ 4 (42)

19 თბილისი 67



ზ ი ნ ა ბ რ ს ი

ხევიანი ნახევარი საუკუნე . . . . .	3
ა. კალანდარიანი — სახალხო თეატრი ფართო გზაზე . . . . .	6
ბ. იაკაშვილი — წყარო საზოგადოების არსებობისა . . . . .	8
ღიდი საუბარი ღრამიტურგის საკითხებზე . . . . .	9
სავსტრილო სპექტაკლების განხილვა „თანამედროვეობა სცენაზე“ . . . . .	11
თ. ტაბიძე — მიეძღვნა იუბილეს . . . . .	13
ი. მახიტაძე — წარმოთქმის მკაფიობა პირველყოფლისა . . . . .	14
ვერიკო ანჯაფარიძის საიუბილეოდ . . . . .	15
რესპუბლიკის თეატრალურ აფიშასთან . . . . .	16
გ. ბათიაშვილი — „ჩვენ მისი უდიდებულესობა“ . . . . .	16
ნ. ელიაშვილი — „კომედიის ხელფენება“ . . . . .	16
ვ. კიკნაძე — ცხინვალის თეატრში . . . . .	18
ა. შალუტაშვილი — ქუთაისის თოჯინების თეატრში . . . . .	19
ა. ტაბაძაძე — „ნინო“ . . . . .	20
ე. ქარელიშვილი — „ოჯახი“ . . . . .	20
ღვაწლმოსილითა გახსენება . . . . .	21
დ. ჩხეიძე — ნინო დავითაშვილი . . . . .	21
ნ. კველიშვილი — ნატალია ჯავახიშვილი . . . . .	22
საუბარი აკადემიკოს გიორგი ახვლედიანთან . . . . .	23
ღიდი მსახიობის სამუშაოში . . . . .	23
გ. აბრამიძე — ოცდამეორე . . . . .	24
მომძე რესპუბლიკათა ყრილობებზე . . . . .	24
რუსთაველის თეატრის გასტროლები რუმინეთში — გვესაუბრებიან მონაწილენი . . . . .	25
ნ. სევეტლიძე — ესპანელები კიევის ქუჩებში . . . . .	26
იხილავნ შედეგებს . . . . .	26
ე. ქარელიშვილი — ფუნჯის დიდოსტატი . . . . .	27
საბჭოთა პრესის ფურცლებზე . . . . .	28
გ. ლიაძე — იუმორი: „კბილებმა უღალატეს“ . . . . .	30

რედაქტორი — მკამია ძაგალიშვილი

**საკრედიტო კოლეგია:** დ. ანთაძე, შ. აფხაიძე, ვ. გოძიაშვილი,  
 ნ. გურაბანიძე, ო. ვეგაძე, დ. მჭედლიძე,  
 ბ. ჟღერტი, ნ. შვანგირაძე, გ. ციციშვილი,  
 ა. ხორავა, დ. ჯანელიძე.

## სპეციანი ნახეპარი სუქუნე

პაცომბრიობის წინსვლისა და განვითარების ისტორიაში არ არსებობს იმაზე უფრო ღირსშესანიშნავი მოვლენა, ვიდრე არას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. „ავრორას“ ქექა-ქუხილმა მთელი სამყარო შესძრა და ცივილიზაციისა და განვითარების ახალი ერა დაიწყო.

ღიახ, იმ დღიდან, როცა დედაიწის ერთ მეექვსეღზე მშრომელბმა სრული თავისუფლება მოიპოვეს და გატაცებით დაიწყეს ახალი ცხოვრების მშენებლობა, მსოფლიოს ბედის ტრილიც შეიცვალა, არსებითი ცვლილებები მოხდა და ჩაგრული ერებისა და მსოფლიო პროლეტარიატის განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რევოლუციის ძალები უფრო მეტად შემჭიდროვდა და უძლველი შეიქნა. მისი ეს უძლველობა მკაფიოდ გამომჟღავნდა სამოქალაქო ომის წლებში, როცა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს შინაურ მტრებთან ერთად ჭილყვაგებივით გარს ეხვეოდნენ და გაათრებით ებრძოდნენ თავიდან-ფეხებამდე შეიარაღებული კაპიტალისტური ქვეყნები. მსოფლიო პროლეტარიატის მხარდაჭერით ძველი რუსეთის მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ არა მარტო მოიგერიეს მტრები, არამედ წარმატებით დაიწყეს სოციალისტური მეურნეობისა და ახალი კულტურის მშენებლობა.

თავისუფლების, ადამიანის სიკეთისა და ბედნიერებისათვის მეტბრძოლი საბჭოთა ხალხის უძლველობა კიდევ უფრო მეტი ძალით გამომჟღავნდა მეორე მსოფლიო ომის წლებში, როდესაც ყვითელმა ურჩხულმა მონიდომა ცივილიზაციის მზის დაბნელება, ბუჩუუაზიული სახელმწიფოები უძლურნი აღმოჩნდნენ მისთვის წინააღმდეგობა გაეწიათ, ფაშისტური გერმანია ლაღად იკავავდა გზას და თითქმის წინააღმდეგობის გაუწევლად იპყრობდა ქვეყანას-ქვეყანაზე, მხოლოდ საბჭოთა კავშირმა, რომელსაც სოლიდარობას უცხადებდნენ და მზარს უჭერდნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის პროგრესული ადამიანები, შესძლო არა მარტო შეეჩერებია ყვითელი ურჩხულის წინსვლა, არამედ გაენადგურებინა იგი და ცივილიზაცია დალუპვისაგან ეხსნა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის როლი განუსაზღვრელად დიდია მთელი კაცობრიობის აწმყოსა და მომავლისათვის, იგი იძლევა მჭერმეტყველ მავალითს იმისას, თუ როგორ უნდა მოეწყოს ცხოვრება დედა-მიწაზე, რომ ხალხები თავისუფალნი იყვნენ და ადამიანები, რომ ერთნაირად გაიფურჩქნოს დიდი და პატარა ერების შემოქმედებითი ძალები, რომ ყველა ხალხის ნიჭისა და გონების ნაყოფმა ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიო კულტურისა და მეცნიერების ოქროს ფონდში.

სოციალისტური წყობილების პირობებში მთელი სისრულით გამოვლინდა ხალხის მასების შემოქმედებითი შესაძლებლობანი, აღოჩინდა და აყვავდა შინაარსით სოციალისტურად და ფორმით ეროვნული კულტურის ყველა დარგი.

ოქტომბრის სიკეთესა და ბედნიერებას ქართველი ხალხი ცოტა დაგვიანებით ეზიარა. თავისუფალ რუსეთსა და ქართველ ხალხს შუა, მენშევიკური მთავრობის სახით, დროებით შავი ურჩხული ჩადგა, მაგრამ საქართველოს მშრომელების შინაგანი ბუნებრივი ღტობვა, — მოძმე თავისუფალ საბჭოთა რუსეთის მშრომელებთან ერთად ეშენებინა თავისი მომავალი, — ვერავითარმა ძალამ ვერ შეაჩერა. იმ დღიდან, როცა ოქტომბრის მზის სხივები საქართველოს მიწასაც მოეფინა, ჩვენი მეურნეობისა და კულტურის ხვაი და ბარაქა დაუშრტელი შეიქნა, აგრარული საქართველო მოკლე დროში მოწინავე ინდუსტრიული და განვითარებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის ქვეყნად გადაიქცა. უმაღლესი სასწავლებლებითა და სამეცნიერო ინსტიტუტებით მოიფინა ჩვენი

რკსუბტოკიკა, ჩვენი მეცნიერებათა აკადემია ერთ-ერთი მოწინავე სამეცნიერო კერაა მთელს საბჭოთა კავშირში, ქართველმა მეცნიერებმა მსოფლიოში გაითქვეს სახელი. ჩვენი მწერლობის მიღწევები ხომ სიამაყით აესხოს ქართველი კაცის გულს, მრავალსაუკუნოვანი ქართული მხატვრული სიტყვა ახალი შედეგებით გაამდიდრეს პროზისა და პოეზიის ოსტატებმა — ვალაკტიონ ტაბიძემ და იოსებ გრიშაშვილმა, მიხეილ ჯავახიშვილმა და კონსტანტინე გამსახურდიამ, გიორგი ლეონიძემ და სიმონ ჩიქოვანმა, შალვა დადიანმა და ლეო ქიაჩელმა, გიორგი ქუჩიშვილმა და ალექსანდრე აბაშელმა, ალიო მირცხულავამ და გრიგოლ აბაშიძემ, ტიციან ტაბიძემ და პაოლო იაშვილმა, ირაკლი აბაშიძემ და კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, სერგო კლდიაშვილმა და დემნა შენგელიამ, კოლაუ ნადირაძემ და ალექსანდრე ქუთათელმა, მიხეილ მრეველიშვილმა და ლევან გოთთამა, ალექსანდრე გომიაშვილმა და გიორგი ნატროშვილმა, ნოდარ დუმბაძემ და რევაზ ჯაფარიძემ, გიორგი შატბერაშვილმა და ლადო ასათიანმა. აკაკი ბელიაშვილმა და ვიქტორ გაბესკირიამ, იოსებ ნონეშვილმა და რევაზ მარგინამ, ოთარ უელიძემ და თეიმურაზ ჯანგულაშვილმა, ანა კალანდაძემ და შოთა ნოშინიანიძემ, ხუტა ბერტულავამ და მურმან ლებანიძემ, მუხრან მაჭავარიანმა და ძემბა ჭილაძეებმა, გიორგი კაჭახიძემ და მაცვალა მრეველიშვილმა...

ყოველმხრივად განვითარებული, სრულყოფილი და მაღალი კულტურის თეატრი მხოლოდ ჩვენი დროში შეიქმნა. ეს პარადოქსულად არ მოგჩვენოთ. მართალია, ქართული თეატრი უძველესი დროიდან მოდის, მას ძალიან შორეული საინტერესო და მდიდარი ხალხური საწყისები აქვს, მაგრამ პროფესიული თეატრი თავისი სინთეტური ფორმით გვიან იწყებს განვითარებას. რეალისტურ თეატრალურ ხელოვნებას, რომელიც თანამედროვე თეატრალური კულტურის პირდაპირ წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს, გიორგი ერისთავის თეატრმა დაუდო სათავე. ერისთავმა დიდი როლი შეასრულა ჩვენი მხატვრული კულტურის განვითარებაში, გაცილებით უფრო დიდი, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება გვეჩვენოს. გიორგი ერისთავი განათლებული პიროვნება იყო, კარგად იცნობდა იმ დროინდელ რუსულსა და ეროვნულ ლიტერატურას, თეატრს, აქტიურულ ხელოვნებას, იცოდა ეპოქის თავისებურება და მისი მოთხოვნილებებიც. მან მოღვაწეობა ბურჟუაზიის აღმავლობისა და ფეოდალიზმის დეგრადაციის ეპოქაში დაიწყო. დემოკრატიული იდეები და კრიტიკული აზლი საშუალებას აძლევდა სწორად განეჭვრიტა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების უახლესი პროცესები და სწორი პოზიცია დაეჭირა.

გიორგი ერისთავის კრიტიკული რეალიზმის დრამატურგია და თეატრი დიდ წინააღმდეგობას აწყდებდა. მეფის მთავრობამ თეატრს აშკარა ბრძოლა გამოუცხადა, ყოველნაირად შეაფეროვა და სული ამოხადა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

გიორგი ერისთავის თეატრმა ხუთი-ექვსი წელი ძლიერ იარსება, მაგრამ მაინც დიდი კვალი გააგლო ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაშიც და ქართული კულტურის ისტორიაშიც. მის მიერ დანთებული კრიტიკული რეალიზმის ნაპერწკალი ჩაუქრებელი აღმოჩნდა, ის მძლავრად გადავიდა ლიტერატურაში და შემდეგში აღმოცენებული თეატრიც მის საფუძვლებს ემყარებოდა. ილიასა და აკაკის თაოსნობით შექმნილი ვასო აბაშიძისა და ლადო მესხიშვილის თეატრი ერისთავის თეატრის პრინციპებს აგრძელებდა და აღრმავებდა.

ქართული თეატრის კლასიკური ხანა ვასო აბაშიძისა და ლადო მესხიშვილის თეატრიდან იწყება. ჩვენ აქ ქედს ვიხრით ბუმბერაზი აქტიორების წინაშე. ლადო მესხიშვილმა და ვასო აბაშიძემ, მკაცრ საფაროვამ და ნატო ვაბუნიამ, კორტე მესხმა და კორტე ყიფიანმა, ვალერიან გუნიაშვილმა და გიორგი არაძელ-იშხნელმა, ნუცა ჩხეიძემ და ელისაბედ ჩერქეზიშვილმა, ნიკო გოციორიძემ და ალექსანდრე იმედაშვილმა აქტიორული ხელოვნების კლასიკური ფორმები დამკვიდრეს. ისინი ოსტატობითა და ბუნებრივი სასცენო სტიქიით განუმეორებელი იყვნენ. მათში ორგანულად იყო შერწყმული და ერთ მთლიან მაღლად ქცეული

სტუდები სიდიადე და სილამაზე, გარდასახვის ძალა და წარმოსახვის ოსტატობა.

სწორედ ამ თავიანთი ბუნებრივი მადლითა და განუმეორებელი ოსტატობით ხიზლავდნენ, აჯაღებდნენ და იპყრობდნენ მასურებელს. მათი სახელების წინაშე დღესაც ქედს იხრიან ჩვენი სცენის დიდოსტატები, მაგრამ, აბა გაიხსენეთ თეატრის სხვა დანარჩენი კომპონენტები? სად გვექონდა მაშინ თეატრალური მხატვრობა, თეატრალური მუსიკა, თეატრალური ქორეოგრაფია. იმდროინდელი რეჟისურა ფარდის ნოჰებიდან მორცხვად გამიიყურება და მასზე როგორც პროფესიულ დარგზე სერიოზული ლაპარაკი შეუძლებელია. რუსეთის პირველი რევოლუციის შემდეგ ქართული თეატრი თანდათან ქვეითდება, პირველი მსოფლიო ომისა და, განსაკუთრებით, მენშევიკების ბატონობის პერიოდში კი თითქმის მთლიანად წყვეტს არსებობას.

დიდი ქართული თეატრი, რომელიც თავისი კულტურით, კომპონენტთა ერთიანობითა და მაღალი პროფესიული დონით, მსოფლიოს ყველა მოწინავე ქვეყნის თეატრს რომ უტოლდება და ეჯობრება კიდევ, ჭეშმარიტად ჩვენს დროში შეიქმნა. საბჭოთა ეპოქამ სიცოცხლის ძლიერი ელექსირი შეუშვა ქართული თეატრის მოდერნულ სახეულში და სწრაფად ააღორძინა, ცხოველმყოფელი შემოქმედებითი ძალა შესძინა და არანახულ სიმაღლეზე აიყვანა. წავიდა, ისტორიის არქივს ჩაბარდა ის დრო, როცა საქართველოში ერთი თეატრი ძლივს დიდებულა. დღეს ჩვენ ოცდაორი პროფესიული სახელმწიფო და მრავალი სახალხო თეატრი გვაქვს; საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში შეიქმნა ეროვნული საოპერო და საბალეტო ხელოვნება. ქართულმა ოპერამ და ბალეტმა ჩვენს დროში გაითქვა სახელი და კულტურულ მსოფლიოში საყოველთაო აღიარება მოიპოვა. სათეატრო განათლებაც მხოლოდ ჩვენს დროში დადგა მეცნიერულ ნიადაგზე, შეიქმნა თეატრალური ინსტიტუტი, კონსერვატორია, სამხატვრო აკადემია.

ჩვენი ხალხი სამართლიანად ამაცობს ქართული საბჭოთა თეატრის, ოპერისა და ბალეტის დიდი ოსტატების სახელებით, — რეჟისორებით, კომპოზიტორებით, მსახიობებით, მომღერლებით, მოცეკვავეებით, თეატრალური მხატვრებით: კ. მარჯანიშვილი და ზ. ფალიაშვილი, მ. ბალანჩივაძითა და დ. არაყიშვილით, ა. ახმეტელითა და ა. წუწუნავაით, უ. ჩხეიძითა და ვ. ანჯაფარიძით, ა. ხორავაით და მ. ლამბაშიძით, თ. ჭავჭავაძითა და ს. თაყაიშვილით, ა. ვასაძითა და ვ. გომიშვილით, ი. გამრეკელითა და პ. ოცხელით, ს. ზაქარიაძითა და გ. შავგულიძით, ს. ქორჯოლიანითა და გ. დავითაშვილით, ვ. სარაჯიშვილითა და ნ. ქუმისაშვილით, ვ. ჭაბუკიანითა და ვ. წიგნაძით, პ. ამირანაშვილითა და დ. ანდლულაძით, ზ. ანჯაფარიძითა და ნ. ანდლულაძით, დ. ალექსიძითა და ა. ჩხარტიშვილით, მ. ჯაფარიძითა და ე. მანჯგალაძით, მ. თბილელითა და მ. ჩახავაძით, ე. ყიფშიძითა და გ. კოსტავაით...

ქართული საბჭოთა თეატრის განვითარებას მუდამ მხარში ედგა ქართული ეწერლობა. განვლილი წლების მანძილზე რუსულ და ევროპულ დრამატურგიასთან ერთად ქართულ საბჭოთა თეატრს ასაზრდოვებდა ჩვენი ეროვნული კლასიკური და თანამედროვე დრამატურგია. სცენიდან არ ჩამოდის ერისთავისა და ცაგარის, ვაჟა-ფშაველასა და კლდიაშვილის, შ. დადიანის, კ. კაკაბაძის და ს. შანშიაშვილის პიესები. თეატრებთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული და აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევიან ი. ვაკელი, მ. ბარათაშვილი, მ. მრეველიშვილი, თ. ჩხეიძე, ლ. გოთუა, გ. ქელბაქიანი, ვ. კანდელაკი, რ. თაბუკაშვილი, ს. მთვარაძე, გ. ნახუცრიშვილი, კ. ბუაჩიძე, დ. თაქთაქიშვილი, ქ. ქუჩუკაშვილი, გაბედულად დაწინაურდნენ ნიჟერი ახალგაზრდები — გ. ხუხუაშვილი, ა. გეგუაძე, მ. ელიოზიშვილი, თ. ჭილაძე, ა. სულაკაური, რ. ებრაელიძე და სხვ.

ჩვენი ხალხი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მტკიცედ და განუხრებლად მიდის წინ, აშენებს ახალ, კომუნისტურ ცხოვრებას და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მარად ზეიმობდეს მთელ დედამიწაზე მშვიდობა, თავისუფლება, ბედნიერება.

## სახალხო თეატრი უკიდურეს ვადაზე

ოქტომბრის 50 წლისთავის დიად ზეიმში სხვებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. ამ თარიღთან დაკავშირებით მათ მრავალი საინტერესო და საგულსხმო ღონისძიებანი განახორციელეს, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მხატვრული თვითმოქმედების ფესტივალი. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო მხატვრული თვითმოქმედების ყველა სახე: თეატრალურმა (სახალხო თეატრები, დრამატული კოლექტივები, თვითმოქმედი თოჯინების თეატრები, ავტომხატვრული ბრიგადები), მუსიკალურმა (საგუნდო და ქორეოგრაფიული კოლექტივები), სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებმა და კინომოყვარულებმა.

მხატვრული თვითმოქმედების ფესტივალი ჩვენს რესპუბლიკაში სახალხო თეატრებისა და დრამატული კოლექტივების დათვლიერებით დაიწყო. პირველ და მეორე ტურში მონაწილეობა მიიღო 35 სახალხო თეატრმა და 835 დრამატულმა კოლექტივმა. ხოლო დასკვნით, მესამე რესპუბლიკურ ტურში 23 სახალხო თეატრი და 13 დრამატული კოლექტივი მონაწილეობდა.

სახალხო თეატრების რესპუბლიკური დათვლიერება მაღალ დონეზე ჩატარდა. მის წარმატებებში გარკვეული როლი ითამაშა რეპერტუარის თემატიკმა მრავალფეროვნებამ. რეპერტუარში დიდი ადგილი დაეთმო რევოლუციურ, სამოქალაქო და სამამულო ომების, პატრიოტულ საკოლმეურნეო და საყოფაცხოვრებო, ახალგაზრდობის აღზრდიან და თანამედროვეობის თემატიკას. ფესტივალზე უხვად იყო წარმოდგენილი ქართული დრამატურგის ნიმუშები: პ. კაკაბაძის „ყვარულე ვარსკვლავი“, „კოლმეურნის ქორწინება“, „ცხოვრების ჯარა“, კ. კალაძის „როგორ“, ლ. გოთუას „უძღვევნი“, ს. მთვარაძის „სახსოვარი“, თ. ფერაძის „ჩაუქრობელი ვარსკვლავი“, ა. სამსონიას „ჩემი შვილი სიმონი“, ფ. ხალვაშის „ვაზის ტირილი“ და სხვ. განსაკუთრებული წარმატება ხვდა ცხაქაიას სახალხო თეატრის მიერ განხორციელებულ მ. ხუნწარას პიესას „ტეხურის პირას“, პიესა ასახავს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სენაკის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლას, რომელსაც ცნობილი

რევოლუციონერი მიხა ცხაქაია ხელმძღვანელობდა.

სპექტაკლის რეჟისორმა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა კ. კალანდაძემ ოსტატურად დახვეწა ყოველი დეტალი, მიზანსცენა და ცხოვრებისეული სპექტაკლი შექმნა.

მხატვარმა დ. ბარქაიამ შესანიშნავად შეასრულა დეკორაციები, ხოლო კომპოზიტორმა შ. მილორავამ პიესის შესატყვისი მელოდიური მუსიკა შექმნა.

მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახალხო თეატრის წარმოდგენამ „კიკვიძე“ (რეჟისორი კ. მუჯანაძე), სტუდენტთა სახალხო თეატრმა გამოიხატა საინტერესო ფორმა სამოქალაქო ომის გამოჩენილი მხედართმთავრის ვასილ კიკვიძის სცენური სახის ხორცშესახემლად. კიკვიძის როლი დიდი შემართებითა და ტემპერამენტით განასახიერა სტუდენტმა ა. ჯვარელმა.

დათვლიერებაზე დიდი წარმატება ხვდა აგრეთვე ბოლნისის საბა-სულხან ორბელიანის სახელობის სახალხო თეატრის მიერ დადგმულ პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინებას“. ბოლნისელთა ნიჭიერმა კოლექტივმა თანამედროვე თვლით წაიკითხა ეს პიესა და საყურადღებო სპექტაკლი შექმნა. (რეჟისორი ბ. გაბიაშვილი). სპექტაკლი მნიშვნელოვანია არა მარტო რეჟისორული გადაწყვეტით, საინტერესო მიზანსცენებით, არამედ აქტიურული შესრულების თვალსაზრისითაც. ბოლნისელთა ეს დადგმა მთელი კოლექტივის ნაყოფიერი თვითმოქმედებით მუშაობის შედეგია.

აღსანიშნავია, რომ 1967 წლის მაისის თვეში სახალხო თეატრების საკავშირო ფესტივალში მონაწილეობდნენ ცხაქაიას, ბოლნისის და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახალხო თეატრები. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ისინი სრულიად საკავშირო დათვლიერების ლაურეატები გახდნენ და ფესტივალის დიდი მედლებით დაჯილდოვდნენ.

სახალხო თეატრების რესპუბლიკურ დათვლიერებაზე თბილისელ მაყურებელთა წინაშე დიდი წარმატებით გამოვიდა ლავოდეხის სახალხო თეატრი, რომელმაც წარმოადგინა ა. სამსონიას პიესა „ჩემი შვილი სიმონი“.

წარმოდგენაში პროფესიულ დონემდე

აიყვანეს თავიანთი გმირების სახეები მსახიობებმა მ. თანდაშვილმა, ე. ზორიანცმა და ვ. თანდაშვილმა. მასურებლის მოწონება დამისახურა ახალგაზრდა ნიჭიერმა მსახიობმა გ. ჯიბლაძემ, რომელმაც შექმნა სიმონის სახე, მან დამაჯერებლად მიიტანა მასურებლამდე უბრალო სოფელი ბიჭის საინტერესო ხასიათი.

მიუხედავად იმისა, რომ ლავოდების სახალხო თეატრი მოსკოვში დათვალა იერებაზე არ ყოფილა, მას მაინც მიენიჭა სახალხო თეატრების საკავშირო დათვალა იერების ლაურეატო და დაჯილდოვდა დიდი მედლით.

სახალხო თეატრების რესპუბლიკურ დათვალა იერებაზე დიდი აღმავლობით გამოვიდა ტყუბულის სახალხო თეატრის კოლექტივი, რომელმაც წარმოადგინა პოეტ ალექს. შენგელის ოთხმოქმედებიანი ჰეროიკული დრამა „ციმბირის პაპა“. პეისა მოგვიტოვებს ციმბირის მიწაზე დაცემული რაინდის, უშიშარი ვაჟაკისა და რევოლუციონერის ნესტორ კვლანდარიშვილის ცხოვრებაზე.

რესპუბლიკურ დათვალა იერებაზე მასურებელთა მოწონება დამისახურეს აგრეთვე ცაგერის სახალხო თეატრში პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინებამ“, ბორჯომის სახალხო თეატრში თ. ფერაძის დრამამ „ჩაქრობელი ვარსკვლავი“, სიღნაღის სახალხო თეატრში მ. მრევლიშვილის — „ხარატანთ კვრამ“, ზესტაფონის სახალხო თეატრში პ. კაკაბაძის — „ცხოვრების ჯარამ“, ტყვარჩელის სახალხო თეატრში — ი. ფაჩულიას „გუნდამ“, სამტრედიის სახალხო თეატრში ლ. ვითუას „უღლებელმა“, ჩოხატაურის სახალხო თეატრში შ. როყვას — „დედამ“.

თბილისელმა მასურებლებმა ნახეს აგრეთვე სამტრედიელთა, ყვარელთა, ხაშურელთა, ხულოელთა, მცხეთელთა, ლანჩხუთელთა და ველისციხელთა სპექტაკლები.

სახალხო თეატრების დათვალა იერების საკავშირო ორგანიზაციის გადაწყვეტილებით სიღნაღის, ბორჯომის, ტყუბულის, თბილისის ვაჭრობის კულტურის სახლის და ხაშურის სახალხო თეატრები დაჯილდოვდნენ მეორე ხარისხის დიპლომებით, ხოლო სამტრედიის კულტურის სახლის, ტყვარჩელის, ხულოს, ცაგერის და ზესტაფონის სახალხო თეატრები — მესამე ხარისხის დიპლომებით.

საკავშირო ფესტივალის ლაურეატები გახდნენ აგრეთვე ინდივიდუალური შემსრულებლები ი. მახარაძე, (ჩოხატაური), მ. თანდაშვილი (ლავოდები), ვ. მახარაშვილი (სიღნაღი),

ვ. ფხალაძე, ნოზაძე რეჟისორი გიორგი ლაძე (ბორჯომი), ამავე დროს მათ მიეცათ პირველი ხარისხის დიპლომები. მეორე ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდნენ მსახიობები: გ. თავართქილაძე (ხულო), ვ. თანდაშვილი გ. ჯიბლაძე (ლავოდები). ა. ერქვანია (სამტრედი), ე. ზორიანცი (ლავოდები), კ. შილაკაძე (ტყუბული), მხატვარი ი. ხუროშვილი (საგარეჯო) და რეჟისორი ა. ნირვანოვი (თბილისი).

ამასთან რესპუბლიკურმა ორგანიზაციებმა სახალხო თეატრების, დამდგმელ-რეჟისორების, მხატვრების და აქტიორთა დიდი ჯგუფი დააჯილდოვა პირველი, მეორე და მესამე ხარისხის დიპლომებით.

ფესტივალის ჩატარების დროს დადებითთან ერთად გამოვლინდა რიგი ნაკლოვანებები. ფესტივალის ვერცერთ ტურში ვერ მიიღო მონაწილეობა რუსთავის, თბილისის რკინიგზელთა სახლის, ქუთაისის მასწავლებელთა სახლის მოზარდ მასურებელთა, ბათუმის რუსულმა და სომხურმა სახალხო თეატრებმა. მათ სწორად ვერ შეარჩიეს რეპერტუარი და დათვალა იერების პირველ ტურში წარმოადგინეს ისეთი სპექტაკლები, რომლებიც საკმაოდ შორს იყვნენ ფესტივალის მიზანთან და სუსტი იყო იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით.

ამასთან ორგანიზაციისა და გურჯაანის სახალხო თეატრებს, რომელთაც მუშაობის კარგი ტრადიცია აქვთ, დათვალა იერებაში მონაწილეობა საერთოდ არ მიუღიათ.

სახალხო თეატრების ფესტივალმა გვიჩვენა — მიუხედავად იმისა, რომ სახალხო თეატრები ბევრსა და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან, მათ ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა მართებთ, რომ ჯეროვან მაღალ შემოქმედებით დონეს მიღწიონ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რეპერტუარის საკითხს და საშემსრულებლო ოსტატობას.

ჩვენი ქვეყანა მდიდარია ტალანტებით, ჩვენმა თვითმოქმედმა კოლექტივებმა საქმიით დაამტკიცეს, რომ მათ ყოველგვარი შესაძლებლობა აქვთ შექმნან საინტერესო სპექტაკლები, აქტიურად გამოეხმაურონ თანამედროვეობის მოთხოვნილებებს და ემსახურონ ჩვენი ხალხის კულტურული ზრდის ინტერესებს.

**ბ. კვლანდარიშვილი**

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო სამმართველოს უფროსი



# წყარო საზოგადოების პრესობისა

საქართველოს თეატრალური საზოგადოება მოწოდებულია ყოველმხრივ იზრუნოს თეატრის მოღვაწეთა ინტერპოლიტიკური დონის ამაღლებისა და პროფესიული სპეციალურ-დოკუმენტაციის, ამასთანავე საზოგადოების პირდაპირი მოვალეობა ყოველმხრივ დაეხმაროს და გააუმჯობესოს თეატრალური საზოგადოების წევრთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო, ნატურალური და შრომითი პირობები, ყოველივე ეს კი ნატურალურ სახსრებთან არის დაკავშირებული. საწევრო შესაძლებლობათა და საწარმოო განყოფილების მიერ მოცემული შემოსავალი ის ძირითადი წყარო, რომელიც ქმნის ფონდებს და ახარავს საზოგადოებას.

საზოგადოების დაარსებისთანავე (1945 წელი) დოქტორის სახით მიეცა 40 ათასი მანეთი, ამავე დროს სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების საბჭომ დაუმზღუნებლად. ვალდებულა 10 ათასი მანეთი. ეს თანხა მიზნობრივად საზოგადოებასთან დაარსებულ გამოცემლობა „სტალინიანს“, საფიშო სტამბის მოწყობას, კულტ-საქონლის ერთი მდღაზის გახსნას და თმის შექმნა-გადამუშავების სამაქროს სარგანიზაციო საქმეს. აღნიშნული სამაქროს დაარსებით ჩაეყარა საფუძველი საზოგადოების საწარმოო განყოფილებას, თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის 1946 წლის მაისის დადგენილებით ჩამოყალიბდა საწარმოო განყოფილება და, გარდა თმისა და პარტიკების სამაქროს, შექმნა პოლიგრაფიული, ფერწერის და დეკორაციული სამაქროები, შემდეგ დაიშტა თვალსაჩინო-სასწავლო ნივთების, კულტსაოკაზო ნივთების, ბუტუორიის, გრამისა და კოსმეტის სამაქროები. 1950 წლისათვის ამ სამაქროებში მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვმა 100 გადააჭარბა.

დღეს კი საწარმოო განყოფილების მუშაკთა რიცხვით რამდენიმე ასეულს უდრის, ისინი წარმატებით იმრძვიან მაღალხარისხიანი პროდუქციის გამოშვებასათვის.

წელს საიუბილეოდ წაისარი ვალდებულებების შესაბამისად წლიური გეგმა საწარმოო განყოფილებამ პირველი ნოემბრისათვის შეასრულა. ნაცვლად გეგმიით გათვალისწინებულ 100,5 ათასი მანეთის პროდუქციისა, გამოშვებულია 115,8 ათასი მანეთის პროდუქცია, გეგმა 11,2%-ით არის შესრულებული. ამასთან ერთად, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, საგრძობლად შემცირდა საქონლის თვითღირებულება. დღეისათვის ჩვენი განყოფილება მთლიანად პროფილით შესაბამისი პროდუქციის გამოშვებაზე ზუსტობს, როგორც მოწარმების, ისე მსოფლიო სხვა გამოფენებზე დიდი მოწონება დაიმსახურა სტენდარების სამაქროს მიერ გამოშვებულმა პროდუქციამ. (სამაქროს გამგე მ. თვაჩაშვილიძე). დღეისათვის აღნიშნული სამაქრო 15 დასახლებების სუვენიარს უშვებს, მოკლე ხანში ათვისებული იქნება კიდევ 5 სახის სუვენიარი.

საბჭოთა კავშირის 15 წლისუბილეთის 58 ქალაქში იგზავნება კოსმეტური სამაქროს მიერ გამოშვებული პროდუქცია (სამაქროს გამგე მ. ბერიძე). ამ სამაქრო-

ში გამოშვებული 22 სახის პროდუქციის ხარისხი დღითიდღე იზრდება. ამ დიდ და საყოფიერ ნიშნავსა და ექვნი რაიონალური ჯგუფების და გამოშვებული მისი საღებავი „გამა“ საქმიად დიდი მოთხოვნებით სარგებლობს.

დიდი მოთხოვნითაა თმისა და პარტიკის შედგენილება და სხვა ნაწარმები. საქმიად — რესპუბლიკის დასახლებული პუნქტში (წყალციხე) ექვნი ქვეყნის თითქმის ყველა რესპუბლიკის თეატრები უზავენანს შეეკრებიან.

გეგმავს მიერად ზუსტობს ბუტუორიის სამაქრო, რომელსაც ყოფილ მსახიობი და სადაღმეო ნაწილის გაზე კონსტანტინე ზუნდავი ხელმძღვანელობს. შიარასად გაზრდილი კოლექტივი სოციალისტური შრომის ბრძიდვის სამაქრო სახელისათვის იმრძვიან, ამიტომაცა, რომ საზოგადოების პრეზიდიუმის, პარტიული ორგანიზაციისა და აღკვეთის გარდასავალი დროში ითქმნის ამ კოლექტივის საყოფრებად იქცა. საწარმოო განყოფილების სათამაშობის სამაქრო (ხელმძღვანელი — მარია) ჯერ ერთი წელიც არ არის, რაც მუშაობის შეუფლება და მისა გამოშვებულმა სათამაშობმა საყოფილო ადარება მისცა.

აქვე გულისკეთილი უნდა ვთქვათ ისიც, რომ საწარმოო განყოფილების სამაქროები გაუანტულია ქალაქის სხვადასხვა რაიონებში და მათზე კონტროლი ძნელდება.

მაქანა-დანადგარებსა და ბუტუორიობას ნულარკითხვარ. ზოგერთი აღმისა და ევან დროანდელია, ასეთი კონსტრუქციული წარმოება, ცხადია, დიდ სარგებლობას ვერ მოგვცემს. საზოგადოებამ უნდა იზრუნოს, რომ რაც შეიძლება მალე შეცვალოს და განახლოს მაქანა-დანადგარები.

გონების თვლით თუ გადაფხვადვთ ჩვენს საქმიანობას, დაგრწმუნდებით, რომ გასაქმებული ჯერ ძალიან ბევრი გვაქვს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ყველა საწარმოო ობიექტის ერთ ადგილზე თავმოყრა. უკვე გადაიდა სამიზო ნაბიჯები. ქალაქის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ოცდაექვსი კომისიის რაიონში, კავთის გზატკეცილზე კულტურის სამინისტროს საწარმოო მეზობლად გამოეყარა სასადაღმეო ვრცელი ტერიტორია, სახელმწიფო ხანძარი კი სესხა მოგვეცა. ასე რომ ბურთიაცა გვაქვს და მოედანიც, ახლა ჩვენს სინაჯეზევა საქმე, გამზარბული გვაქვს და აქიდანვე უნდაწავთ, რომ სამაქროები ახალი, თანამედროვე დანადგარებით დაეკომპლექტოთ. პარეზიდიუმთან არსებული სამხატვრო საბჭო აქედანვე ზრუნავს ახალი სახეობების აღმარგებაზე, ყველაფერს გაეკეთებთ იმისათვის, რომ საზოგადოების საწარმოო განყოფილების მიერ გამოშვებულ პროდუქციასვე ყოველთვის იყოს სათანადო მოთხოვნილება.

გაიოზ იაკაშვილი

საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე

## ლიდი საზიარო ღრამაგვრების საქითხეზა

ორ დღის მიმდინარეობდა საქართველოს მწერალთა კავშირის პლენუმი, რომელიც საგანგებოდ დრამატურგიისა და თეატრის საკითხებს მიეძღვნა. ამ ორი დღის განმავლობაში გაიმართა უაღრესად გულახდელი და პირდაპირი საუბარი თეატრისა და დრამატურგიის საკითხებზე. საუბარმა მნიშვნელოვანი მიღწევები მწერლებმა და თეატრის მოღვაწეებმა. ეს გულახდილობა მრავალმა უაქტორმა განაპირობა. ერთ-ერთი კი ის იყო, რომ ავტორები თორმეტი წელია, რაც მწერალთა კავშირის თავის პლენუმზე საგანგებოდ არ უმსჯელია თეატრისა და დრამატურგიის საკითხებზე. ამ ხნის განმავლობაში კი ძალზე ბევრი რამ დაგროვდა. სათქმელი და გადასაწყვეტი. ბევრა საკითხი იხილეთ ისეთ ავტორიტეტულ ტრიბუნას, როგორც მწერალთა კავშირის პლენუმი.

ამ უკანასკნელ ათწლეულში ქართული სალიტერატურო და თეატრალური კრიტიკა სამართლიანად დაპირაკობდა იმაზე, რომ ქართული დრამატურგია ჩამორჩა, რომ იგი ვერ აწარმოებდა თანამედროვეობის მოთხოვნილებების დონემდე. მიუხედავად იმისა, რომ ახლა საქართველოში 22 სახელმწიფო თეატრია და დრამატურგებსაც მეტი სამოქმედო არე აქვთ. მნიშვნელოვანი ძვრები მაინც ვერ შეინიშნება. რასაკვირველია. დაიწერა რამდენიმე კარგი და საყურადღებო პიესა. მაგრამ ქართული დრამატურგია მაინც ვერ გავიდა დიდ ასპირებზე.

მწერალთა პლენუმის მუშაობას საქმიანი ტონი მისცა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივნის გრიგოლ აბაშიძის უაღრესად საინტერესო შესავალმა სიტყვამ. ამ მოკლე სიტყვაში მან მიმოიხილა ჩვენი დღეების არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო დრამატურგიის საკითხები და ამ დიდი ღონიდან გაანალიზა თანამედროვე ქართული დრამატურგიის წინაშე წამოჭრილი პრობლემები და საკითხები.

ვრცელი და საინტერესო მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, კრიტიკოსი ბესარიონ უფენტი.

ბ. უფენტი დაპირაკობს ქართული თეატრის ტრადიციებზე, მის მიერ განვლილ გზებზე

და დაწვრილებით მიმოიხილავს თანამედროვე ქართული დრამატურგიის საკითხებს. ბ. უფენტი არჩევს პოლიტიკაზე კავშირის ახალ პიესას „მაგისტრ მეშვიდესი“, რომელიც მისი აზრით, ახალი სიტყვაა ქართულ ისტორიულ დრამატურგიაში, იგი დადებითად აფასებს აქაი გეგაძისა და გიორგი ხუბაშვილის დიდი ოქტიომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ახალ პიესებს. ბ. უფენტი მაღალ შეფასებას აძლევს აგრეთვე დედაქალაქისა და რესპუბლიკის ქალაქების ზოგერთი თეატრების მუშაობას. მაგრამ ეს არ მიაჩნია დამაკმაყოფილებლად. ორატორი აღნიშნავს, რომ ქართული თეატრის სცენაზე წამყვანი უნდა იყოს ეროვნული დრამატურგია. სწორედ ეროვნულ თემატიკაზე შექმნილმა პიესებმა უნდა წარმართოს ძირითადად ჩვენი თეატრალური ცხოვრება, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეროვნულობისა და თანამედროვეობის ნიშანით სცენაზე არ გაიპაროს უსუსური და უინტერესო პიესები.

მომხსენებლის ამ მოსაზრებას მხარი დაუჭირეს და ქართული დრამატული მწერლობის შემდგომი განვითარებისათვის თავიანთი მოსაზრებები წამოაყენეს საქართველოს მწერალთა კავშირის დრამატუკის ბიუროს თავმჯდომარემ გ. კანდელაკმა, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორმა დ. მუხედიანმა, მწერლებმა დ. შენგელიამ და ა. გეგაძემ, სსკ სახალხო ორკესტრმა ა. ფასაძემ და სხვებმა. საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ოთარ თაქთაქიშვილმა ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომელსაც სისტემატურად ატარებს კულტურის სამინისტრო თეატრისა და მწერლობის კონტაქტის გასაძლიერებლად, ამ ღონისძიებათა მეოხებით — დისქენს იგი — დღეს კულტურის სამინისტროს სარეპერტუარო კომიტეტს თავის პორთფელში აქვს რამდენიმე საყურადღებო პიესა, რომლებიც უფროდ გააძლიერებენ ჩვენი თეატრის მდგომარეობას. თავ-თავიანთი თეატრების დღევანდელ მდგომარეობასა და პერსპექტივებზე ილაპარაკეს რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა არჩ. ხაჩარაშვილმა. ამავე თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე



ნ ურუშაძემ, ახლად შექმნილი რუსთავეის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა **გ. ლორთქიფანიძემ**, სსკკ სახალხო არტისტმა **ვ. ანჯაფარიძემ**, ჭიათურის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა **ო. ალექსიშვილმა** და სხვებმა.

პლენუმზე საკმაოდ პრინციპულად და სავსებით სამართლიანად ითქვა იმის შესახებ, რომ დრამატურგია ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ეანარია, და ამიტომ შეუწყნარებელია ის ფაქტი, რომ ქართული ჟურნალები და გამომცემლობები თავს არიდებენ პიესების ბეჭდვასა და გამოცემას. ქართული პიესები უნდა იბეჭდებოდეს და იცემოდეს, ისე, როგორც ლიტერატურის სხვა ჟანრის ნაწარმოებები — ეს არის ჩვენი დრამატული მწერლობის განვითარების ერთ-ერთი წინაპირობა. ამ საკითხზე, გარდა მომხსენებლისა, ვრცლად ილაპარაკეს **ი. ვაკელმა**, **მ. მარევიშვილმა**, **მ. ბარათაშვილმა**, **გ. ხუხაშვილმა** და **ნ. ჩაჩავამ**, ხოლო ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორმა **ო. ევაძემ** აღნიშნა, რომ თუ „საბჭოთა ხელოვნებას“ დაუბრუნდება ფორმათა აღრინდელი რაოდენობა, (პლენუმის მონაწილეთა აზრით კი ეს აუცილებელია) ჟურნალი ყოველ ნომერში დაბეჭდავს თითო პიესას.

საქართველოს თეატრალური საზოგადოებების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **დოდო ანთაძემ** პლენუმის მონაწილეთა წინაშე წამოჭრა მეტად მნიშვნელოვანი საკითხი. მან აღნიშნა, რომ ქართული თეატრი, მისი ისტორია და თანამედროვეობა იმსახურებს იმას, რომ


საქართველოში გამოდიოდეს სათეატრო-ზეითი, რომელშიც სრულყოფილად აისახება ჩვენი თეატრის დღევანდელი დღე.

ქართული დრამატურგიის საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები **აკ. ბაქრაძემ**, **გ. გვერდწითელმა**, **ნ. კიკვაძემ** და **ს. დოლიძემ**.

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **დ. გ. სტურუამ**.

დასასრულს საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ბესარიონ ჟღენტმა. მან აღნიშნა, რომ მწერალთა კავშირის მორიგმა პლენუმმა წამოჭრა მეტად მნიშვნელოვანი საკითხები, გაიმართა საჭირო საუბარი დრამატურგიისა და თეატრის საკითხებზე. თავის საბოლოო სიტყვაში **ბ. ჟღენტი** გააკრიტიკა ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთი თეატრი, რადგან ამ თეატრებში შემცირდა თანამედროვეობისადმი მიძღვნილი სპექტაკლების ხვედრითი წონა. **ბ. ჟღენტი** შეეკამათა რუსთაველის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგეს **ნ. ურუშაძეს** იმის გამო, რომ თეატრი უწინდებურად აღარ მუშაობს ცნობილ ქართველ დრამატურგებთან, საჭიროა თეატრმა უფრო აქტიურად მიიზიდოს დრამატურგები, შექმნას ქართველი ხალხის დღევანდელი ამსახველი მასშტაბური სპექტაკლები.

პლენუმი დამთავრდა. დრამატურგები და რეჟისორები, თეატრის მოღვაწენი და მოყვარულნი კმაყოფილი დარჩნენ ამ პლენუმის ორდლიანი მუშაობით, რადგან გულახდილმა საუბარმა პლენუმს მეტად საქმიანი ხასიათი მისცა.



## თანაგეგროვეობა სხვაზე

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინ წლისთვისთვის საყოველთაო შვადების დღეებში, ოქტომბრის ბოლოს, ჩვენს დედაქალაქს სტუმრად ეწვია ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი. ბათუმელებმა ერთ კვირზე მეტად დაჰყვეს თბილისში და მყოფების გულწრფელი მოწონება დაიმსახურეს.

30 ოქტომბერს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ კულტურის სამინისტროსთან ერთად მოაწყო ბათუმელთა საგანგებო სექტაკლების განხილვა.

განხილვა შესავალი სიტყვი გახსნა საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახლბო არტისტმა დიდიმ ანტონიძემ.

— სულ მალე ჩვენი ქვეყანა წევრით აღნიშნვის ოქტომბრის წინ წლისთვის იუბილეს. ვანვლო ნახევარი საუთუნის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში მოხდა გიგანტური ძვრები. გარდაიქმნა სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, ჩამოყალიბდა ახალი ტიპის — კომუნის მშენებელი ადამიანი. ამ დიდ გარდაქმნებში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თეატრმა, თეატრი მუდამ მხარსი ედგა და ამხნევედა, ბრძოლისა და შრომისაკენ მოუწოდებდა ხალხს. რესპუბლიკის თეატრალურ კოლეტივებს შორის ბათუმის თეატრი ერთ-ერთი მოწინავეა, ეს ერთხელ კიდევ ცხადი გახდა ამ დღეებში, როცა თეატრი საგანგებო დღეეწვია. თბილისის საზოგადოებრიობამ კარგად მოილო იგი.

— ჩვენ გვიხარია, — განაგრძობს ორატორი, — რომ ამ თეატრში თავი მოიყარა ნიჭიერმა ახალგაზრდობამ. ამ თეატრის დასს ამშვენებენ უფროსი თაობის სახელოვანი წარმომადგენლები. სამწუხაროა, რომ ეს მსახიობები საგანგებო რეპერტუარში სათანადოდ არ იყვნენ წარმოდგენილი. ამ გარემოებამ გული დაგვეწყვტა. მაგრამ იმედია, ეს ნაკლი მალე გამოისწორდება.

შემდეგ დ. ანთაძე მოხსენებისათვის სიტყვას აღდევს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ოთარ ეგაძეს. იგი ამბობს:

— ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის ჩამოსვლა ჩვენს დედაქალაქში სასიხარულო ფაქტია. ჩვენ ერთხელ კიდევ შევასვენეთ საკუთარ თავს, რომ ბათუმში სახელმწიფო თეატრის დამაარსებლები იყვნენ კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის თეატრალური სკოლის მოწაფეები. ამ თეატრის საფუძველი ჩაუყარა ქართული რეჟისურის ორმა გამოჩენილმა ოსტატმა დოდო აღიქისიმე და არჩილ ჩხარტიშვილმა.

რით ჩამოვიდა ბათუმის თეატრი თბილისში?

რამდენადაც ვიცი, თეატრის რეპერტუარში საქამოდ ბევრი სექტაკლია. ამ სექტაკლებში უმეტესობას შეადგენს სწორედ ის ნაწარმოებები, რომლებიც ქართველმა დრამატურგებმა შექმნეს. ამას საგანგებო აფიშაც მოწოდებს. ჩვენ ვიხილეთ ახალბედა ნიჭიერი დრამატურგის აღიქსანდრე სამსონის „ზღვა და სიყვარული“, დრამატურგიაში ასევე ახალბედა, მაგრამ უკვე შემოქმედებითად დაოსტატებული აკაკი გეგაძის

„წმინდანები ჭოჯოხეთში“, ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის საქვეყნოდ აღიარებული „მე, ბებია, ოლიო და ილიარიანი“ და ს. ცვაივის „სახლი ზღვის პირას“. შეიძლება დრამატურგის ისე აგება, რომ ნაცვლად ცვაივის პიესისა სხვა ნაწარმოები ჩამოეტანათ, მაგრამ როგორც ჩანს, ბათუმელებს სურთ, რაც შეიძლება მეტად აჩვენონ მათურგების ზღვისპირების ყოფა.

რით გამოირჩევა ბათუმელთა „ზღვა და სიყვარული“? უპირველეს ყოვლისა იმით, რომ პიესაში ნახვენიბა ზღვისპირა საქართველოს ახალგაზრდობის ცხოვრება. პიესა მხოლოდ იმას კი არ გვიჩვენებს, რაც ყოველდღიურად ხდება წარმობებებსა თუ დაწესებულებებში, არამედ იმასაც, რასაც ჩვენ ვგრძობთ და რის შესახაც ვერიდებით. როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ თანამედროვე, საბჭოთა ახალგაზრდა ოცნების საქართველოს მიტოვებასა და ბურჟუაზი მონტევიდეოში ცხოვრებაზე. ასეთი რამ პატრიოტული თავმოყვარეობის შეღახვად მიმართა. ეს ყოველივე უწარბობის ბრალია. ეს ახალგაზრდები კი უწინარობს მშობლებმა მიჩაივს. მშობლები ყველაფერს აკეთებენ, რომ შევიღებს მოაცილონ ის სიმძიმე და ცხოვრების სირთულე, რაც თვითონ გაუტლიან. ამ გზის გაუვლელოდ კი არ შეიძლება ჩამოიქნას ნამდვილი მოქალაქის სახე. აღ. სამსონია მათურგებს ეუბნება: ნუ მოვიქცევით ისე, როგორც ელგუჯა და მისი მოზობლები იქცვიანო.

დრამატურგი ამითარბებს ადამიანებს, რომლებიც არ ფიქრობენ სამშობლოს მოვლა-პატრონობაზე. ეს იდეა კარგად გაიზრა და ხორცი შესახა რეჟისორმა თ. აბაშიძემ, რაშიც მას უთულო დაეხმარნენ ნიჭიერი აქტიორული ძალები, კომპოზიტორი და მსახიობი.

ეს სექტაკლი კარგა ხნის წინათ ვნახე. მან წარმატება მოიპოვა არა მარტო იქ, ბათუმში, არამედ თბილისშიც, როცა კოლექტივი მშენებარებით გამოდიოდა რუსთაველის თეატრის სცენაზე. სასიამოვნოა, რომ სექტაკლმა ამდენი ხნის მანძილზე შეინარჩუნა თავისი პეტი.

კარგად თამაშობს ელგუჯას როლს ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობი დ. დლონტი. მშენებარე შობებელივლან ტოვებს ა. ტაკიძის მიერ განსახიერებული გურამის სახე. კოლორიტულად შესარულა როლი ნიჭიერმა მსახიობმა მ. შერვაშიძემ, მოსაწონი იყო გ. იმანიშვილი.

მე ვერ გამოვტოვებ ნ. მესხიძესა და ლ. ყარახაშვილს. ამ უკანასკნელმა შინაგანი დაძაბულობით გახსნა პიესის მთავარი გმირი გოგონას სახე.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ამ სექტაკლის ნიულომა კოლექტივმა ისახელა თავი. ვერ ვიტყვი იმას თითქოს სექტაკლში არ იყოს სუსტი ადგილები. მაგრამ რეჟისორმა მსახიობებს თავთავიანი გმირის მიზანდასახულებად და ამოცანები ისე კარგად გააცნო, რომ ყველა მსახიობი ჩაქდა თავის სახეში. ყოველი მსახიობი მოძრაობს ისე, რომ მას, როგორც ტყვიან, წუწა ფეხნაბს არ ძვრება. ეს კი პროფესიულობის მატარებელი ნიშანია. ამ სექტაკლში. აბაშიძემ, ა. ფილიპოვმა და ე. მკუტაძემ მონახეს ისეთი ეკრანი, რომ გაავანერგეს სცენური ხედვის ჰორიზონტი.



მე მიიღა ხაზი გავუსვა რეცისორის უნარს, მხატვრებისა და მუსიკოსის შრომას. ისინი ხელს არ უშლიან ერთმანეთს. სამივე კომპონენტი კარგად არის შერწყმული და ერთხელ კიდევ გვიჩვენებს თეატრის კომლექტური მუშაობის დადებით მხარეს.

მეორე პიესა, რომელიც ბათუმის თეატრმა გვიჩვენა. — ეს იყო აკაკი გეგუაძის „წმინდანები ჭოროხეთში“. რით არის ეს პიესა საინტერესო? იგი გვიჩვენებს უწყვეტად მუშაობის, შინაოჯახურად ქართველმა ცხოვრებას, ცხოვრებასაღმა სიყვარულს, გვიხატავს ადამიანებს, რომლებიც სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაიღუპნენ. მაგრამ არ მოქმედებენ, ჩვენს შორის აღარ არიან. მაგრამ ცოცხლობენ.

3. გეგუაძე შექმნა ნაწარმოები, რომელიც გვიჩვენებს თუ რა მოაწოდებდა მიიღო ქართველმა ახალგაზრდობამ საერთო ისტორიულ საქმეში.

მე პირადად სწორად მიმაჩნია ის, რომ რეცისორმა, აღბნთ ავტორთან შეთანხმებით, ზოგა რამ ამოიღო პიესიდან და სექტაკლად განვიკრთა. ვფიქრობდი რეცისორს პიესის იმ ნაწილის შეტყობებაში, სადაც ლაპარაკია ნასტიათ ფილისოფოვაზე. მე მხარს ვუჭერ ასეთ მანუალებას, თუნდაც იმიტომ, რომ ნასტიათ შეხვედრებში არასასაბულოო განწყობილებას უქმნის მკაცრებულს და მსმენელს. იმით პიესა მორალურად უფრო დაიწინადა.

ბევრი ქარტი სიტყვის თქმა შეიძლება ამ სექტაკლში მირიანისა და მათას როლის შესწორებებზე. ტაკიძისა და ლ. ყარახანაშვილზე, მაგრამ მე მიიღა ერთი ძირითადი როლი შევქმნი, ეს არის რ. კაკაბერიძის სერგო. მის მიერ ეპიზოდური როლის შესრულება დღისინი მხატვრის ფუნქციის მოხმას ჰკავს. აქ არაფერი იყო გავიანდებული, არც პრანჭვა-გრეხვა იგრძნობოდა.

ამ სექტაკლის განხილვის შემდეგ ორბელიანი მიმოიხილა, ე. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე, ბიბიკო, ილიკო და ილარიონსა“ და ამბობს:

— საქართველოში უფრო არსებობს ამ პიესის დადგენის ტრადიცია. ამიტომ ძნელი იყო რეცისორისთვის შექმნა ისეთი სექტაკლი, რომელიც სხვა თეატრების ნამუშევრებს არ დაემსგავსებოდა. შოთა ინსარიძის მიერ შექმნილი სექტაკლი კომპოზიციური ფორმით, აქტიორული ძალების დანაწილებით, მართლაც, არა ჰგავს სხვებს. კარგად არის ჩაფიქრებული სიმბოლიური დედამოძი და ზედ დაკადებული, ჭაჭუჭე მოქანვე პატარა ქვაბი. ეს მიგვაწინებს იმაზე, რომ ბეზის კერა არ გაცეცხლებია, იგი კვლავ თბილია. ამ ბეზისა უნდა ნიშნავდეთ თამაშობენ საშუალო თაობისა და ახალგაზრდა მსახიობები. შეუძლებელია ყველას ჩაოთხოვა. ბევრმა მსახიობმა კარგად იმოქმედა თავისი თავი, სახერბა სწორად გახსნენ. მ. მესხიძემ, ე. მალაყმაძემ, მ. შერვაშიძემ და სხვებმა. მხოლოდ შერვაშიძეს კი უნდა ვურჩიო, რომ ძაღლის მოკვლის სცენაში ნაკლები იხტუვროს, ეს დეტალი როდის შარვის ხასიათს აძლევს.

შემდეგ ოთარ ევაძე ლაპარაკობს ამ თეატრის სცენაზე წარმოდგენილ. ცვაიაკის პიესაზე „სახლი ზღვის პირას“, მომზენებული დადებით შეფასებას აძლევს ამ სექტაკლად. ქებით იხსენიებს ლ. დლორატის ნამუშევრებს, რომლებიც შექმნა დამაჩერებელი სახე და ზოგაერთი შენიშვნებს გამოსკვამს ლ. ყარახანაშვილის შესრულებაზე.

— ბათუმი, — ამბობს დასასრულს მომზენებელი, — მისი თეატრი, ერთგულური კულტურის ერთერთი კერაა და ჩვენ მაღალია უნდა ვუთხროთ აქარის თავცუბებს, იქაურ ხელმწიფანდობას, რომ ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებენ თეატრს.

თანამოსწენებით გამოვიხსნა ხელდაწერა მხატვარი გიორგი გენიძი.

გ. ვაუია განიხილავს ბათუმელთა საკატროლო სექტაკლის მხატვრულად გაფორმებას საკითხს.

— სექტაკლის მხატვრული გაფორმებისას ეკრანისა და მითუმცნად, ფოტოგრაფიის გამოყენება ძალზე იშვიათი შემთხვევაა. ამიტომ „შედეგ და სიყვარულის“ ნახვის შემდეგ კულტურაში ბევრს ღაპარაკობენ იმაზე, თუ რამდენად უძლებს ამისილია ეს ბერბი. რეცისორი თ. ახაშიძემ მიწაწიფუნ, რომ იყო უადრესად მართალი, მე ვიტყვით — დღესმდებრივ, ამიტომ იგი მხატვრებს ა. უდიდობასა და მ. მამულანაკაც აიძულებს მოახლოონ სცენიური გაფორმების ისეთი საშუალებები, რომლებიც უზუნდად გამოაყენებენ რეცისორის ჩანაფიქრს.

რეცისორმა თ. ახაშიძემ ძალზე თავისებურად წაიკითხა აკაკი გეგუაძის „წმინდანები ჭოროხეთში“, იგი დიდად განსხვავდება მარჯანიშვილის თეატრის სექტაკლისაგან. რეცისორის ჩანაფიქრადან გამოდინარე მხატვრებმა ო. ქოჩიაძემ, ალ. სლავინსკიმ და ი. ჩიქვაიძემ მოახსნეს გაფორმების სწორი გზა, როცა გამოიყენეს ეკრანის და სექტაკლში ჩართეს ომისდროინდელი კინოტრონიკის ელემენტები.

შემდეგ გ. ვაუია შენიშვნებს გამოთქვებს „შედეგ და სიყვარულის“ მიმართ, ეკრანად მას არ მოსწონს სექტაკლში ჩართული დაბალი მხატვრული დონის ფოტოსახიობები.

იწყება კამათი, პირველად სიტყვას იღებს თეატრეკლზე ნადიმუბ შალუაშვილი. იგი ღაპარაკობს ბათუმის თეატრის დღევანდელ მიმართულებაზე, რაც ნათლად გამოჩნდა საკატროლო სექტაკლებში. ნიუანსაღმება იმ ფაქტს, რომ თეატრის რეპერტუარში ქართველ დრამატურგთას წინაყვანი ადგილი უჭირავს. ნ. შალუაშვილი დადებით შეფასებას აძლევს ბათუმის თეატრში განსახიერებულ „მე, ბეზისა, ილიკო და ილარიონს“, რომელიც რეცისორმა შ. ინსარიძემ შექმნა. ნ. შალუაშვილი ქებით იხსენიებს აგრეთვე სექტაკლ „შედეგ და სიყვარულის“ ახალგაზრდა მსახიობების მ. ტაკიძის, ნ. საყანდელიძის, ლ. დლორატის, საქ. სსრ სახალხო არტისტის ა. მელიქაძის, საქ. სსრ დამსახურებულ არტისტების გ. იმანიშვილისა და მ. შერვაშიძის თაობაზე. შემდეგ ნ. შალუაშვილი ვადადის სექტაკლ „სახლი ზღვის პირას“ განხილვაზე და განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს რესპუბლიკის სახალხო არტისტის მ. ხინიაძის საწმენდებელი ოსტატობას.

დასასრულს ნ. შალუაშვილი მიმართავს თეატრის კომლექტის და ამბობს:

— თქვენი თეატრი ცტარებს ყოველი ქართველთათვის ეჭირფასა ადამიანის სახელს. ეს საამყოც არის და სასახუბისმგებლოც. თქვენ უნდა ეცადოთ, რომ ყოველთვის დირსებულად ამართლებდეთ ამ დიდ სახელს.

ტრიბუნულა ანტონ წულუპიძე . თავისი სიტყვები



შესავალ ნაწილში იგი ამბობს, რომ მართალია, ბათუმელთა ოთხი სექტაკლი ვნახეთ, მაგრამ ეს სექტაკლები არ ქმნიან სრულ შობებულებას ამ თეატრის უკანასკნელი წლების ნამდვილ სახეზე. თეატრში შეიქმნა ბევრი საინტერესო სცენიური სახე. შემდეგ ორატორი განიხილავს ალ. სამსონიას „ზღვა და სიყვარულს“ და რამდენიმე საყურადღებო კრიტიკულ შენიშვნასაც გამოსთქვამს ამ პიესის მიმართ. წუთულები დასწრეთ უზიარებს ამ თეატრის უკანასკნელი წლების სექტაკლებიდან მიღებულ შობებულებას და დადებითად აფასებს თეატრის მთავარი რეჟისორის თეიმურაზ ავაშიძის შრომას.

კამათში გამოსული დრამატურგი ვაჟა-ფშაველასთან ერთად ბათუმის თეატრის ისტორიაზე, მის ჩინებულ სექტაკლებზე და აღნიშნავს, რომ უკეთესი იყო თეატრს საგასტროლო რეპერტუარი ისე შეედგინა, რომ უფროსი თაობის მხანაობები უფრო უკეთესად ყოფილიყო წარმოდგენილი.

სიტყვას იღებს თეატრცოდნე მანხანაძე მართლმადიდებელი. იგი ღვაწაყობს თეატრის შემოქმედების დადებითსა და უარყოფით მხარეებზე. ვ. ქართველიშვილი დამატებულად განიხილავს ალ. სამსონიას პიე-

სას „ზღვას და სიყვარულს“ და ამბობს, რომ პიესას ახასიათებს მთელი რიგი ნაკლოვანებები, ორატორს კალუმნირებულად მიაჩნდა ნ. ცვაციას „სახლი ზღვის პირას“ დადგმა ამ თეატრში. იგი ამბობს, რომ ეს არ არის ისეთი პიესა, რომელიც თეატრს დიდ გზაზე გაიყვანს.

თეატრცოდნე პანკრაძე ტრაპაძემ მიმოიხილავს ბათუმელთა საგასტროლო სექტაკლებს, ჩერდება მსახიობთა ოსტატობაზე და შემოქმედებით გამარჯვებებს უსურვებს თეატრს.

სიტყვით გამოსული აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი თ. ბოლქვაძე ამბობს:

— ჩვენ დიდად მაღალი ვართ თბილისელი მაცურებლისა, თეატრალური საზოგადოებისა. აქ ბევრი მეტად საყურადღებო შენიშვნა გამოითქვა: ჩვენი თეატრის ვასტროლები არ იყო სრული დემონსტრაცია მისი კოლექტივის შესაძლებლობებისა. ჩვენ ვაჭყლებს ის გარემოება, რომ ამ ვასტროლებზე სრულად არ იყო წარმოდგენილი იუსტუ კობაძე და მურად ხინიაძე. შევეცდებით ეს ნაკლი გამოვასწოროთ. ბათუმის თეატრის ყოველთვის ეცდება იღვავს ჩვენი დროის მოთხოვნათა დონეზე.

განხილვა შეჯამა დღოლ ანთაქმე.

## მიქაძენა იუზილას

„მძტომბრის რევოლუცია და ქართული თეატრი“, — ასე ეწოდებოდა გამოქვანას, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის საიუბილეო დღეებში მოაწყეს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და სათეატრო მუზეუმმა.

გამოქვანა ორი განყოფილებისაგან შესდგებოდა. პირველ ნაწილში წარმოდგენილი იყო იმ სექტაკლების მაკეტები და ესკიზები, რომლებშიც აისახა რევოლუციის ქარიშხლიანი დღეები, ხოლო მეორე განყოფილება ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სექტაკლებს წარმოგვიდგენდა.

როგორც ცნობილია, დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ძირეული გადატრიალება მოახდინა ქართულ თეატრში. სცენაზე მოვიდნენ რევოლუციის გმირები, ახალი სამყაროს მშენებლები.

ეს მოვლენა კარგად აისახა გამოქვანაზეც.

ექსპოზიციაში წარმოდგენილი მასალები ძირითადად თეატრალური მუზეუმის ფონდებიდან გამოიფინა.

გამოქვანის მოწყობას ზედამხედველობდნენ მუზეუმის თანამშრომლები: ნ. ელიაშვილი, ნ. ლაშვილი, ბ. ანთიძე და კ. ნინიაშვილი. გამოქვანაზე საქმით ადგილი ჰქონდა დათმობილი იმ სექტაკლებს, რომლებიც მიძღვნილი იყო დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი. აქ წარმოდგენილი იყო საქართველოს თითქმის ყველა თეატრის საიუბილეო სექტაკლები.

გამოქვანაზე მოსული დამთვალიერებელი სექტაკლების მაკეტებს გარდა აქ ნახავდა ქართული თეატრის ცნობილი მოღვაწეების— მსახიობების, რეჟისორების, დრამატურგების და მხატვრების ფოტო-სურათებს.

გამოქვანამ მრავალი მაცურებელი მიზიდა.

ბმერჯბრ თქმულა და ახლაც გვსურს შევნიშნოთ, რომ სათვარო ხელოვნების წამყვანი ფაქტორი, მთელი მისი სული და გული დრამატურაგის მიერ წერილობით შექმნილი და სცენაზე გაცოცხლებული ზეპირი სიტყვა, ამიტომ უოველი მსახობი, პირველყოვლიანისა, იმაზე უნდა ზრუნავდეს, რომ დეიუფლოს სწორასცენო წარმოქმას, ვინაიდან სწორად წარმოქმანა ჩინთვის გამოსახვის ისეთივე საშუალება და შემოქმედების იარაღი, როგორც მხატვრისათვის ფერი, მომდეროსისთვის — ხმა და მოქანდაკისათვის თხა, მარმარილო ან ქვა. თანამედროვენი დაიშორებენ, რომ დიდი რუსი დრამატურაი ა. ოსტროვსკი თავისი პიეების დადგმებს კი არ უყურებდა, არამედ კულისებში ზოლის სცენა და მხოლოდ მსახობათა მეტყველებას უსმენდა. ეს ფაქტი მრავლისმთქმელია თეატრალური შემოქმედების რთულ პროცესში ენის განუყოფელ მნიშვნელობაზე, წარმოქმნის ძალასა და დანიშნულებაზე.

მხოლოდ წარმოქმნის მრავალფერადი ნიუანსებით, ხმის მოდულაციით, მელოდიის, რიტმის, ტემპის, პაუზაციის, ინტონაციისა და დიქციის სხვა კომპონენტთა ოსტატური გამოყენებით ახერხებს მსახობი ხელოვნებისათვის დამახასიათებელი შთამაგონებელი იდეებისა და განცდების შიქანას მაყურებელად.

ცოცხალი ზეპირი სიტყვა, მთელი სასცენო შემოქმედების ქვაკუთხედი, ასევე თვის წარმოქმნის, თავისთავად ამ რთული პროცესის ძირითად მომენტად ბგერათმავლობა უნდა მივიჩნიოთ.

მაგრამ რას ნიშნავს ბგერათმავლობა წარმოქმნაში? ეს ნიშნავს ზეპირმეტყველების საერთო ხმანობაში სამეტყველო ბგერების (ფონემების), მარცვლების, სიტყვებისა და სიტყვათკომპლექტების აუსტრუტურად გამოყვანას, მათს წარმოჩენას იმ მიზნით, რომ ყოველმა მაყურებელმა ადვილად გაიგონოს და გაიგოს სცენაზე ნათქვამი.

სამწუხაროდ, წარმოქმნის არამყაფობა დღესდღეობით ჭერ კიდევ რჩება ჩვენი თეატრის სუსტ ადგილად. ჭერ კიდევ ხშირად ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც აქტიორის ლაპარაკი დარბაზში ცუდად ისმის, რასაც მაყურებელთა ყურადღების შესუსტება და სექტაციის ხარისხის დაქვეითება მოსდევს.

ეს რომ არ ხდებოდეს, სექტაციის რიტმი და მარმონა რომ არ ირღვეოდეს, საჭიროა წარმოქმნის მყაფობას მეტი ყურადღება მიექცეს. ცოცხალი სიტყვის სისწორე და მყაფობა ის სამიზნო ნიშანდებელი უნდა იყოს, რომლისცენაც ყველა შესაძლებლობით უნდა მიიღტვოდეს თეატრის კოლექტივი.

ამჭერად გვსურს შევეხოთ ზოგიერთ იმ კონკრეტულ მიზეზს, რომლებიც იწვევენ წარმოქმნაში ბგერათმავლობის დარღვევას, მუშინა კი, როდესაც მსახობის არავითარი ორგანული ხასიათის სამეტყველო ნაქმი არა აქვს და მისი ლაპარაკის ბუნდოვანება მხოლოდ უყურადღებობის, მავნე ჩვევისა და ზოგჯერ კი თეატრალურ მოდუნებაში სწორად წარმოქმნის უკუღმეულყოფისა და შეუფასებლობის შედეგია.

ხშირად ვყოფილვართ იმის მოწმე, რომ ადგენებუ-

ლი მსახობი უდიდესი დამაბულობით ყვირის, ამაღლებული ხმით გამოხატავს თავის ემოციას, მაგრამ რას ამბობს ადღროს, რა სიტყვიერი ფორმებით გავმოგვიცემს თავის ადგენებს, ეს კი არ გვესმის. არ გვესმის იმიტომ, რომ მისი სიტყვები იკარგება მოძალებულ ხმაში. ხმა ახშობს მეტყველებას, უყარავს მყაფობას.

ხმის ამაღლება და გაძლიერება, როგორც ადგენებული გრძობათა გამოხატვის ერთ-ერთი საშუალება, რასაკვირველია, გარკვეულ მომენტებში დიდად საქაროა, მაგრამ ამ შემთხვევაში მსახობი არასოდეს არ უნდა დაღატობდეს წარმოქმნის სინატიფეს, იგი ცხარეილი ხმის მდინარებით (ყვირილით) კი არ უნდა ავსებდეს სცენას, არამედ საერთო ამაღლებულ ხმანობაში საწარმოთქმო ორგანოების ენერგიული მონაწილეობით მყაფობად ჰკვითდეს ფრაზებს და ამით ცხადყოფდეს თავისი აზრების ემოციურ შინაარსს.

ბგერათმავლობის ყვირილის დროს გაძლიერებულა ადამიანის ის საერთო ე. წ. „გაუფორმებელი“, გამბეული და გარდამავალი ხმა, რომელზედაც როგორც ზონარაზე მძივები. ისე არის ასხმული საწარმოთქმო ოდენობანი (ფორმები, მარცვლები). პირველი ჩრდილავს მეორეს, საერთო „ბიოლოგიურ“ ბგეროვნებაში იკარგება სოციალურად ღირებული, მხატვრულად ნაძერწი სამეტყველო ბგერები და ბგერათკომპლექსები.

მხატვრულ წარმოქმნაში, როგორც ცნობილია, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეტყველების ტემპი. სწრაფ ლაპარაკს მსახობი ჩვეულებრივ დამაბული სიტყვიების დროს მიმართავს, და ის, ვინც ჭეროვანად არ არის დაუფლებული სამეტყველო ტექნიკას, ჭქარად ლაპარაკის დროს არღვევს ბგერათმავლობას. სუსტად ან სულ არ გამოთქვამს ზოგიერთ ბგერა-მარცვალს, თავისდა შემუშინებულად, როგორც იტყვიან, „უღაპავს“ ცალკეულ სიტყვებს და მშენეილი ასეთი ლაპარაკიდან ვერაფერს გებულობს.

არასწორი აჩქარებული ლაპარაკის შედეგად ხშირად სიტყვები ერთმანეთს ერწყმის, ე. ი. ერთ საწარმოთქმო კალაოტში ექცევა, რაც, რასაკვირველია, ამინერებს წარმოქმნილი ფრაზის ათვისება-გაგებას. ერთ თარგმნილ პიესაში ნახმარია უცხო სიტყვა „ლიდი“ (ქალბატონი), ერთ-ერთი მსახობი წარმოქმნაში ამ სიტყვას აერთიანებდა წინმდგომ „ამ“ ნაცვლისაებულთან და ამბობდა: „ამდენის საქმი“, რაც აღიქმებოდა, როგორც „ამდენის საქმი“. (უნდა ეთქვა დანაწერებულად „ამ ლიდის“).

როგორც დავიკრვებამ გვიჩვენა, ჩვენს თეატრში წარმოქმნის მყაფობასა და ბუნებრიობას ისიც არღვევს, რომ ზოგი მსახობი არავითარ ანგარიშს არ უწევს ფრაზის სამაგიელო კომპლექსების წყობას, რის დცხასაც წარმოქმნის სისწორისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ეს კომპლექსები ჩვეულებრივ ლაპარაკში გვევლინება ბუნებრივ რიტმიკულ-მელოდიკურ ერთეულბად, წარმოქმნის დასრულებულ ელემენტბად, რომელთა დაშლა წარმოქმნის პროცესში არ შეიძლება.

განსვენებულმა მკვლევარმა ს. ულენბმა ექსპერიმენტულად დაამტკიცა, რომ ქართული ზეპირი მეტყველებისათვის უფრო დამახასიათებელია ფრაზის შემ-



კერძო რიტუალ-მელოდიური მახვილი, ვიდრე ცალკეული, თუმცა ცალკეულ სიტყვებსაც, რასაკვირველია, აქვთ თავიანთი ფონეტიკური მახვილი (ბოლოდან მესამე მარცვალზე მრავალმარცვლოვან სიტყვებში და ბოლოდან მეორეზე — ორმარცვლიან სიტყვებში). ამის მიხედვით ერთ მილიანობაში უნდა წარმოითქვას, მაკალითად, ეს მარტივი წინადადება: „მთებმა დახუტეს თვალბები“. (ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება) და არა ასე: „მთებმა... დახუტეს თვალბები“; ან „მთებმა დახუტეს... თვალბები“. ამგვარ გათიფვას, რასაც ხშირად ვამჩნევთ მსახიობთა და დეტელმატროთა გამოსვლებში, დიდი ხელოვნურობა შეიქნეს საჭარო მეტყველებაში. ახვე ნელოპქამენ სხვა ნიმუშებსაც: „ხმლი... გავტყორცნე“; „ვეფხო... შევიპყარ“, „დაკარგული... შენი შვილი მოვიდი“; „ჰაერში... სურნელს აფრქვევს“, „თავს უბედურად... სულაც არ ვგრძნობ“; „ქართველი კაცი... დასაბამიდან აღმოსავლეთში... კატომოყვარობას ქადაგებდა“. ყველა ეს ნიმუში სათითოდ თითო საწარმოთქმო კომპლექსია და ცხადია გაერთიანებულად უნდა წარმოითქვას. უკანასკნელი მაგალითი მრავალსიტყვიანია, მასში მ სიტუქა შედის, მაგრამ, როგორც მარტივი გავრცობილი წინადადება, იგი ერთი ლოგიკური და, ამის შესაბამისად, ერთი ფონეტიკურ-მელოდიკური მილიანობაა, მსახიობმა კი არასწორი წარმოთქმით იგი სამ ნაწილად დაშალა, ირჯერ შეცვალა მისი ინტონაცია და მახვილი. სულ სხვა იქნებოდა მაშინ ეს წინადადება ქვეყნობილი რომ ყოფილიყო: „დასაბამიდან ასე იყო, რომ ქართველი კაცი აღმოსავლეთში კატომოყვარობას ქადაგებდა“. ამის წარმოთქმისას პაუზა და ინტონაციის შეცვლა (მომისი ადგომის) აუცილებელია.

ყოველად შეუძლებელია ამ კომპლექსების გათიშვა: „შენი... კენესამე“, „ჩვენი... ხუმრობა“. ბუნებრივად მოსაუბრე ყოველი ქართველი კაცი მათ გაუთიშველად წარმოთქვამს: „შენი კენესამე!“ „ჩვენი ხუმრობა“. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი ხელოვნური ოპერაცია (შეიძლება ვთქვათ, ძალდატანებითი ოპერაცია) ზოგჯერ გამოჩენილი მსახიობის წარმოთქმაშიც მოგვიხმენია.

სიტყვათმახვილზე, რაც არაიშვიათად შეიმჩნევა აგრეთვე ჩვენი სასცენო მეტყველების პრაქტიკაში და რაც სიტყვების წარმოთქმას ეროვნულ ელფერს უქარგავს, ჩქმადავს სწორედ იმ მარცვალს, რომელიც თანამად ქართული ენის ბუნებას, წარმოჩენილი უნდა იყოს. მასხვის ერთი განთქმული მსახიობი გეოგრაფიული სახელის კანადის წარმოთქმისას მახვილს ბოლოდან მეორე მარცვალზე სტემა — პანადა (ნაცვლად ბოლოდან მესამისა — კანადა) და ეს სახელი ამის გამო მის წარმოთქმაში სრულიად უცხოურად უდრდა.

სწორედ ასევე არასწორი მახვილის გამო ქართულ ეროვნულ ელფერს იყო მოკლებული მის წარმოთქმაში სიტყვით ბადა (ამბობდა ბადა), ვაჟაკი (ჩემი ვაჟაკი).

ამგვარ ნაკლთა ჩამოთვლა შორს წავიყვანდა. საჭიროა ჩვენი სასცენო წარმოთქმა ფონეტიკური დაკვირვების საგნად იქცეს, გამოიშვადეს სათეატრო ორობების ნორმები და დაისახოს გზები არსებული მდგომარეობის გამოსწორებლად. ეს საშუალებებს მისცემს მსახიობს უკეთ ჩასწვდეს სწორი ქართული წარმოთქმის, მისი შემოქმედების ამ უმნიშვნელოვანესი სახვითი საშუალებების ბუნებას და ყოველთვის ახსოვდეს, რომ მისი ყვირილი შემაწუხებელ ხმაურად არ უნდა იქცეს, ჩურჩული და ხმადაბლა ლაპარაკი ჩიფიჩიად, სისწრაფედ ფეხტური სხაასხუადა. შესიტყვების მახვილი მიწ წარმოთქმაში მთლიან კომპლექსებად უნდა კრავდეს შინაარსობლივად და გრამატიკულად დეკავირებულ სიტყვათა შენაერთებს (ქვემდებარე და შემასმენელი, შემასმენელი და დამატება ამხნელი სიტყვებითურთ, მსაზღვრელ-საზღვრული და სხვ.). სათქმელის ბგერამარცვლები, სიტყვები მკვეთრად, ბუნებრივი ზომიერებით უნდა გამოკაიფობდეს საერთო ხმის მდინარეებში, ინტონაციური მიმოქცევა ეგულებოდეს მშობლიური სალიტერატურო ენის ბუნებას და მთელი პროცესი მეტყველებისა მელოდიკურ-რიტმიულ კალაპოტში ცხაველმყოფად ჩქედვს.

**ილინ მამსარაძე**

საქართველოს თეატრალური საზოგადოების სასცენო მეტყველების მეოლოდური საბუის წევრი.

**ვერიკო ანჯაფარიძის საიუბილეო**

მომავალი წლის გაზაფხულზე აღინშენება გამოჩენილი ქართველი მსახიობი ქალის, სსრკ სახალხო არტისტის ვერიკო ანჯაფარიძის სასცენო მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავი.

ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის ოთარ თაქთაქიშვილის თავმჯდომარეობით შეიქმნა საიუბილეო კომისია. საიუბილეო კომისიის

წევრები არიან ჩვენი რესპუბლიკის გამოჩენილი თეატრალური მოღვაწენი, მწერლები, მხატვრები.

ვერიკო ანჯაფარიძის იუბილე გამიართება აპრილში. საიუბილეოდ საქართველოს თეატრალური საზოგადოება გამოსცემს ილუსტრირებულ ალბომს (შემდგენელი კ. ნინიკაშვილი), გამოვა აგრეთვე ვერიკო ანჯაფარიძის წერილების კრებული.

რესპუბლიკის პრესა, რადიო და ტელევიზია ფართოდ გააშუქებს ამ გამოჩენილი მსახიობის ცხოვრებასა და შემოქმედებას.





### „ჩვენ, მისი უღილაკლასობა“

ამ ორიწლიან წლის წინათ საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტმა გოგი ქავთარაძემ ინსტიტუტის სენაზე საუბროს სექტაკლი დადგა. ეს იყო ვჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“.

სექტაკლი დადგა დაინტერესო თეატრალური საზოგადოებრიობა. მასზე ბევრი თბილი სიტყვა ითქვა, სექტაკლი აჩვენეს მოსკოვში, თეატრალური ინსტიტუტების სარეისორო ფაკულტეტების დათვალიერებაზე. იქაც მოწონენ. პროფესორმა გერაც გოიანმა საგანგებო სტატია უძღვნა ქართველი სტუდენტის ნაშუფვარს. იგი წერდა: „აღბოლუანი რეისორის დადგმის ღირსება ისაა, რომ მან საოცრად ვარგად მონახა შეროკულ-რომანტიკული ხასიათის ნაწარმოებს შესაფერისი მხატვრული ფორმა. ამავე ღრის ეს ნათელი ეროვნული ფორმა ხორცს ასხამს სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების, სხვადასხვა ხალხის მშობისა და მცგობრობის ინტერნაციონალურ თემში“.

ეს იყო საუბროს სექტაკლი, ამის შემდეგ ქ. ქავთარაძეს სადილოში ნაშუფვარში უნდა გამოემუქვინებინათ თავისი რეისორული ნიჭი და უნარი. გოგიც დიდხანს ეძებდა პიესას. არჩეულა, ათანხარად სწონდა და ზომიერად. ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე პიესამ თუ სხვა ვარის ლიტერატურულმა ნაწარმოებმა გაიარა მის ხელში.

ახლოვდებოდა ჩვენი ქვეყნის 50 წლისთავი. გოგი ქავთარაძეს გადაწყვიტა სადილოში სექტაკლი ამ დიდი თარიღისადმი ყოფილიყო მიძღვნილი. არჩევანი შეჩერდა რ. ტბრაქიძისა და ს. დოლიძის პიესაზე „ჩვენ, მისი უღილაკლასობა“.

პიესა თავისი თემატურობითა და მიწანდასახულობით ხასხესით ემპაურება ჩვენს თანამედროვეობას. უფრო

მეტაც, იგი ჩვენი ყოფის შუაგულში მოტრიალედ აღამიანების ცხოვრებას ასახავს. და თუ შეიძლება აღამიანების ერთი ჩვეულის ფსიქიკის, მისწრაფებებისა და, სანეროოდ, სახის განზოგადება, მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ პიესაში წარმოდგენილია ჩვენი ხალხის ყოფა, მისი სახე, ასე რომ, პატარაში მიწინაშეულო დიდი. სერკაც სამხიარობის სახეში თავს იყრის ყველაზე საუკეთესო თვისებები ჩვენი საზოგადოების უფროსი თაობის აღამიანებისა. იგი ცენტრალური ფიგურაა და ჰგავს ამ ბერძენს (განსაკუთრებით სერვო ჯაქარიანს თანაში აღგიტრავთ ასეთ ასოციაციებს). რომლის ირგვლივაც შემოკრებილან და თავთაფისებურად შრიადებენ ქვეყნების მაცოცხლებელი ზეგები — ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა; ეს არის აღამიანი, რომელიც ზუნებს მრავალი რეორფის თვისებები დაუქვემდებარება და პაულუს კეთილ საქმეში მამუტურად წაუძღვებს წინ მემგობრებს.

როგორც აღენიშნეთ. პიესა ჩვენს ყოფას ასახავს, იგი თანამედროვეობას ცხება. ხოლო თუ დავსვათ კითხვას — ავტორია ასახავს, ამ კითხვას უნდა ვუპასუხოთ — ავტორია პოზიცია საქმიოდ პოზიტიურია. ამ მხრივ არაფერი ვეაქვს მათან სადავო (ტრაქიტი, ამ შემთხვევაში ავტორთა პოზიცია საქმიოდ აქტიურია, ისინი ცდილობენ ზოგჯერ მკაცრად გაამართლონ კიდევ საზოგადოებრივი ცხოვრების საუკო მხარეები). ხოლო თუ იგივე კითხვას დავსვამდით სხვა მიმართებით და დავინტერესდებოდით, თუ როგორია პიესათვის მხატვრული ღირსებით, მაშინ მასში მრავალ ხარვესა და ნაყოფანებას აღმოვაჩენდით. თუმცა ეს არ ნუნახავს იმას, რომ პიესა უკიდურესად დაბალი ლიტერატურული დონის ქმნილება იყო. არა, მას აქვს

### „ქოველიის ხელოვნება“

მისუხმამხამდ იმისა, რომ ედუარდო დე ფილიპო საქმიოდ აღიარებული დრამატურგია, მისი ნაწარმოებები საქართველოში აქამდე არ დადგებულა. საყოველთაოდ ცნობილია მისი „ნეპოლი-მოლონიტების ქალაქი“, „ოქახი“, „ბოლანდანი“, „დიდემენ მარტირიანი“, და სხვა მრავალი. ყოველ მათგანში იტალიელი დრამატურგი იძლევა სიეთისა და ბიოტუტის, სიციცილიისა და სიცილიის, სიხარტისა და მწუხარების, სიმატლისა და სიერტის, კეთილშობილებისა და უმატროსობის დაბირისპირებას. აი, ამ ქვეყთხედიდან არის დასახული მისი „ქოველიის ხელოვნებაც“, რომელიც წარმოადგენს ყოველად მართალ დილოგებს ორ ნაწილად“.

ერთ-ერთ პატარა ქალაქში ახალი პრეფექტი დაინიშნა. ახალია მისი მდივანიც, არცერთი არ იცნობს ქალაქის მკვიდრს. მათი ყოველი ნაბიჯი ფრთხილია, — ვით თუ რაიმე ხიფათს ვაძვეყნაოთო. მაგრამ ეს სიფრთხილე მათი აღამიანური კეთილშობილებიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ პატროსანი ხალხისადმი ცონიკური დამოკიდებულებიდან. პირველი მხოვნიელი, რომელიც მათთან მოდის, გახლავთ ადგილობრივი მო-

ხეტილედ დრამატული დასის წევრები. ცაქაქე, მართალია, მათი შეხვედრა მალევე ვეღობილედ დინიყო, მაგრამ შემდეგ, როცა ქაქაქემ მსახიობის ტულებების დაცვა მოითხოვა და სახელმწიფოში მსახიობის უფლება-მოვალეობის საფიხებსაც შევტო. პრეფექტი განარისხდა და დაიხოხვა. აი, აქედან იწყება პრეფექტისა და მისი თანამეწიის უღბოზობა მომსდევლები-საღბო.

პრეფექტი დე-კაროს ტ. საყვარელაქე მსახიობებს. მსახიობი თავდაპირველად ფრად გულისხმურას და კეთილ აღამიანს წარმოგიდგენს. გვონია, ამეთი პრეფექტი ვარც საქმეების მუტს ათავურს მომომქმედებს. მაგრამ ამ, მსახიობი თანდათან მრავალფეროვანს ხდის თავის საშემსრულებლო პალიტრას. მისი დე-კარო მაცურების თვალწინ ნელ-ნელა იხდის ნიღაბს და იქვეც იმედ, რაც სინამდვილეშია. გაქრა მისი მოჩვენებითი გულწრფელობა. ტ. საყვარელაქის დე-კარო უკვე იმ კაცია, რომელიც მზადა კატორღში ვაგზავნის კაქაქე. მის ვერ წარმოდგენია, რომ მსახიობს მოსაღებური და იუბრიდული ედღეზანი გააჩნია. ტ. საყვარელაქე საოცრად მსუბუქად, ყოველგვარი თეატრალუობის გარეშე წარმოგიდგენს დე-კაროს სტენურ სახეს და ამით

თავისი ღირსებები და ეს ღირსება უპირველესად იმაში მდგომარეობს, რომ იგი დინამიური ანდა, ამან მისცა საშუალება რეისორის თითქმის ქარხნის ცხოვრების რიტმზე აეწყო მთელი სექტაკალი.

ასე რომ რეისორის ხელი არ ჰქონია ასე თუ ისე სრულქმნილი ლიტერატურული ნაწარმოები, მაგრამ ეს, რამაც პიესაში გამოხატულდება ვერ მხოლოდ, კარგად წარმოსახა რეისორის ფანტაზია. მან ნაწარმოები გაიჯარა რეჟისორ გრანდოლფო სანაბანო, რომლის ფოკუსშიც თავს იყრის მრავალი ადამიანური თუ ყოფური კონფლიქტი. მის მიერ წარმოსახულ ყოფას, ადამიანთა ხასიათებსა და ენერჯიას ეფერებოდნენ სცენაზე შემოქარაული კულისები და მან ტრადიციული კულისებიც გაიტანა სცენიდან. მათი მოვალეობის შესრულება კი თეატრის კედლებს დაეკისრა. ისინი სექტაკალში ქარხნის უზარმაზარი სააქროს კედლებად წარმოგვიხატებინან. ამ უზარმაზარ კედლებს შუა მოქმედებენ ქარხნის მუშები, აქ იცვენ ისინი თავიანთი სიჭაბუკის მონაოვარს, აქვე იბრძვიან სიახლეა დაწერვისათვის და ამ მოვალეობზე მანქანებს შორის ადამიანები ამაღლებულად და სრულქმნილად გვეჩვენებენ.

სექტაკალში არის ბევრი კარგი სცენა, რამდენიმე აქტიორული მიგნება, მაგრამ ამჯერად მე შეფერხდები მხოლოდ სამ მსახიობსა და სამ როლზე.

სერგო სამხარაძე — სერგო ზაქარიძე. ეს არის უკეთესობიდან პირველი, მას დიდი ბიოგრაფია აქვს, დიდი ცხოვრება გაუვლია და, ალბათ, ამიტომაც არის ასეთი სათნო და თბილი. აქტიორის სხვის მრავალჯერ ხედვითა წილად მხატვრული ფერითაცვლება და ამჯერადაც იბღობინი გამოდგა. სერგო ზაქარიძისათვის სერგო სამხარაძის გარმის მორგება.

სერგო სამხარაძის ვაჟის თენგიზის როლს ედიშერ მალალაშვილი ანსახიერებს. თენგიზი ჩვენი თანამედრო-

ვე პიროვნებაა. ვერ ვიტყვით, რომ ამ შემთხვევაში მსახიობს რაიმე დიდი აქტიორული მისია ჰქონდეს დაკისრებული, მაგრამ ერთი რამ გვეცა თვალში — მსახიობმა ვერ შეაღწარა უპირველესი ამოცანა — იგი ვერ გარდაიხსნა შემოქმედებელი. როცა მსახიობი სცენაზეა, ლაბარაკოს თუ მოქმედებს, ვერ ვგრძობთ მის შინაგან სამყაროს, მის წუხილს თუ სიხარულს.

მაგალითისათვის ვაჩვენებთ თევზაობის სცენა. მამა-შვილი ეთელერ წაიჭირებოდა და საბირობენ. საუბარი კამათში გადაიზარდა. კამათობენ ადამიანის მოწოდებასა და მოვალეობაზე ხალხის წინაშე, ეს კამათი სცენის წინა პლანია, მაგრამ ამ სცენას აქვს, როგორც ბენიფიციური იტყვოდა, აწყალქვეშა აისბერგებიც, რაც ერთი შეხედვით არ მოჩანს, — ეს არის ლირიზმი, მამა-შვილის კამათის სითბო. ეს აწყალქვეშა აისბერგებიც ვერ გვაგრძობინა ედიშერ მალალაშვილის თენგიზმა.

მესამეა ჭიჭის როლის შესრულებული გივი ჭიჭინაძე. ეს არის ქარხნის ერთი რიგითი მუშა, რომელსაც სხვებიცა აწუხებს ქარხნის ბედი, მისი მომავალი. ეს გივი ჭიჭინაძე — ჭიჭის საერთო მდგომარეობაა, მაგრამ ჭიჭის აქვს პირადი სამყარო, თავისი სიხარული თუ შეწირვება გივი ჭიჭინაძის შესრულებაში, — მის მიმიკასა და მოძრაობაში კარგად კითხულობთ პერსონაჟის ამ ყოველდღიურ შექცევებს.

სტუდენტები საკურსო შრომით გვიჩვენებენ თუ რამდენად საფუძვლიანად ეუფლებიან ისინი თავიანთი სპეციალობას, იძენენ იმ აუცილებელ თვისებებს, რაც ძალზე საჭიროა მათი შემდგომი მუშაობისათვის. სულ სხვაა სადიპლომო შრომა. ეს უკვე სერიოზული განაცხადია პროფესიაზე. სადიპლომო შრომა განაპირობებს ახალგაზრდის შემდგომ გზას. გ. ჭავჭავაძემ ეს დიდი გამოცდა უშაბლდეს ნიშნზე ჩააბარა და ეს სიაშიამვილი.

შურბა ბატიანიშვილი.

კიდევ ერთ საინტერესო როლს ჰმატებს თავის რეპერტუარს.

ბიურკრატიული წრის წარმომადგენლის ცოცხალ სურათს გვიხატავს გ. ტატიშვილი ჯაყოს ფრანჩის სახით. მსახიობი ფუნდამენტ მიჰყვება დე ფლოის პერსონაჟის ბუნებას.

ი. ტრიპოლსკის ზომიერად მიჰყავს თავისი როლი. მისი კამპზე უსულგულო ადამიანთაგან დამცირებელი, მაგრამ თავისი პროფესიისა და საქმის ერთგული ადამიანი ვახლავთ. ი. ტრიპოლსკი მართალი და უშუალო ყოველ სცენურ მომენტში, ლოკატორად გახარებულია ყოველი მის მიერ გათამამებული ნიუანსი.

ცხოვრებისეული სიცოცხლით სუნთქავს ა. კობალაძის კინორ ბასტი. უნდა შეინიშნოს ერთი რამ — მსახიობს ასე გამოეკეთილა: ასე ერთიანად ვერ არცერთი სახასიათო როლი არ შეუძრულებია. მის მიერ განსახიერებულ ყველა კინორ ბასტი არის საოცრად მეტყველო და საოცრად შთაბეჭდილი სცენური სახე. მსახიობმა დიდი ოსტატობით გვიჩვენა გარდასახვის უნარი. ა. კობალაძე ამ როლში ერთნაირი აქტიორული სიმძლევით ფლობს როგორც მიმიკას, ისე სასცენო მეტყველებასა და მოძრაობას.

კომპიუტერი პერსონაჟის იერსახითაა წარმოდგენილი გ. ნინუას პადრე სალვატი. მსახიობი დამაჩერებლად გვიჩვენებს ეშმაკი მღვდლის შინაგან ბუნებას. იგი მრავ-

ელ სცენურ საღებავს მიმართავს, რათა მისი პადრე სალვატი მსახიობური შესრულების თვალსაზრისით მაყურებლისათვის საინტერესო და დასამახსოვრებელი იყოს.

საყურადღებოა დ. ჭიჭინაძის ლეჩია ბეტრელი. მსახიობი ედიშა განსასახიერებელ სახეში, რომელიც ფსაქტურად დაეადებულ ადამიანს წარმოადგენს, დრამატული აქციენტ შეეძინა. გულუბნევილო გულვის დამაჩერებელ სახეს იძლევა დ. ქუთათელაძე. კარგია უსიტყვო ჯიშოლამო ჰია გ. გოციერელის შესრულებით. აღსანიშნავია ახალგაზრდა მსახიობის ე. თოფურაის ვერონიკი. განსაკუთრებით დასამახსოვრებელია ნ. ჩიხიძის გულვის ცოლი. მართალია, მსახიობს სულ თითხედ ფრზა აქვს წარმოსატყველი. მაგრამ მის მიერ მოტანილი ქალის ხმით წარმოსატყველი „გირლამო პაქ“ იმდენად შთაბეჭდილია, რომ იგი ნამდვილად ავლენს სახასიათო მსახიობის ოსტატობას. არ შეიძლება ვეგრძობი ავუხებოთ მოხეტიალე მსახიობების შემსრულებლებს ა. ალაიძეს (არლოკინი), გ. ბეკლავას (კოლომბო), გ. გოციერელს (ტელჩივლი), ვ. კვიციანიშვილს (პანტალონი), ვ. ფირცხალაიშვილს (ბრიგელა), რომლებიც საინტერესონი არიან თავიანთი პლასტიკურობით.

ნაზი ელიაშვილი



# სხინვალის თეატრი

სხინვალის თეატრალური წარსულის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ძველ შურნალ-ვაზე-თებში. ვაჭეთი „ივერია“ სხვადასხვა დროს წერდა: „წინამძღვრიათ კარის სკოლის სასარგებლოდ წარ-მოადგინე „ხანუმა, ცოლი თუ გინდა ეს არის“ „რუსეთში დაბრუნდით სასარგებლოდ დაიდაც კომედია „ხანუმა“, „ნაჭტარა ლიანხვე ხიდის გასაკეთებლად იმართება გასართობი საღამო, წარმოადგენენ კომე-დიას „მზის დაბნელება საქართველოში“ და ა. შ.

ასეთი ზემოთხსენებული ტრადიცია მოსდგამს თანამედრო-ვე სხინვალის თეატრს. ამიტომ განსაკუთრებული ინ-ტერესით ვაღვივებთ თვალყურს ხეთაგურთის სახე-ლიანობის თეატრის ყოველ ახალ ნაწარმოებზე. ეს ინტერე-სი განუმეორებელი იმითაც, რომ მათ გარკვეულ სპეცი-ფიკურ პირობებში უხდებოდა მუშაობა. ერთ ჰემქვეშ იღვწის ორი კომედიტი, რომლებსაც თავისი განსხვავებული რეპერტუარი და შეოქმედებითი შესაძლებ-ლობა აქვთ. ისინი ცდილობენ ერთმანეთს შეუხამონ მუშაობა, იცხოვრონ და იმოღვაწეონ, როგორც ძმებმა და მამობრებმა.

მაგრამ ორივე დასის მესვეურებს ამ მხრივაც მეტის გაკეთება მოელოვებოდა. ისურვებდა დადგენილი ვერცხვადი ქართულ პიესებს და ქართულზე — ოსურს. ეს ნაყოფი დროულად უნდა გამოსწორდეს.

არის სხვა საკითხებიც, რომლებიც კულტურის სა-მინისტროსა და თეატრალური საზოგადოების განსა-კუთრებული ყურადღებას მოითხოვს. მაგრამ ეს მაინც ცალკე საუბრის თემაა.

ამჟამად ჩვენს ყურადღებას მხოლოდ ორ სპექტაკლ-ზე შევაჩერებთ, ისიც ვაკვირით და ზოგადად. ორივე სპექტაკლი ახალ საიუბილეო სეზონში დაიდგა. ორივე რეპერტუარის 50 წლისთავს მიეძღვნა.

1. კავბაძის „კომლეთურის ქორწინება“ და ვ. გვ-ლოვეას „თქმულება დედაზე“ თითქმის სავსებით ვა-მობატებს ქართული და ოსური თეატრების შესაძლებ-ლობას.

„კომლეთურის ქორწინება“ იგ. მაცხონაშვილმა დადგა. სპექტაკლის მხატვარი ვ. დონდოლაძეა, მუსიკა-ლური მონტაჟი კი დ. ქიშინიძისაა ეკუთვნის.

„კომლეთურის ქორწინება“ იმდენჯერ დადგმულა ქართულ თეატრში, რომ თითქმის ძველია მის სცენურ ისტორიას რაიმე ახალი შეემატოს. განსაკუთრებით გ. შავგულდის ხარისხის შემდეგ. ალბათ, ამიტომაც არის, რომ ხარისხის როლს თითქმის ყველა თეატრ-ში „შავგულდისებურად“ თამაშობენ. გროტესკული ნიღაბი სცენის ოსტატისა ბევრისთვის დაუძლიებელი აღმოჩნდა. ამიტომ გონივრულად მოიქცნენ იგ. მა-ცხონაშვილი და მსახიობი თ. მეშვილდე, რომ სრუ-ლიად ახლებურად გაიზარეს ხარისხის როლი. გრო-ტესკული ფორმა შესცავალა მსუბუქმა ზუმორმა. ექს-ცენტრიული, მეგობრივი ხაზები მონოტონურმა სირბი-ლედ. თ. მეშვილდე დიქტად, რეალისტური მანერით ვა-მობატებს ხარისხის შინაგან ბუნებას, მის უნიკალად მაყ ხასიათსა და სასაცილო მდგომარეობას. იგი შეგ-ნებურად უარყოფს გროტესკს, ჰარბ ფერებს, ექვე-ტრულ შესტრუქულაციას. ერთი შეხედვით მისი ხარისხი-ნი არაფრით არ განსხვავდება სხვებისგან. ამ ჩვეუ-ლებრივის მიღმა მსახიობს სურს დაგვანახოს გმირის

არჩვეულებრივი მოქმედება. მსახიობი ლოგოკრი და სტილისტიკალად უფრო მოლიანი იყო თავის მოქმე-დებაში უკანასკნელ აქტამდე. ბოლო სურათში როგორ-ღაც მოდუნდა და ზედმეტად ინერტული გახდა..

კოლორიტის გრანძობი გამოირჩეოდა ი. ცხვირა-შვილის ხასული და იგ. დაბრუნების მანუარის. რამ-დენიმე კარგი ნიუანსი და დეტალი გვიჩვენა გ. პლიე-ვის გვირისტიმზე, თ. ვასნოვას კაკალამ. გ. ბიჩიაშვი-ლის ქამლითმა, იგ. ვასნოვას გიბილამ და ბ. ჯიოშვი-ლის ირინემ. მითოს როლს ასრულებდა ზ. სტეფანიშვი-ლი, შატოს — გ. გოგიჩევი, მარინის — ჯ. გოჩაშვილი, ლომკა — შ. ცხვირბოვი, ვატას — დ. ყორანაშვი-ლი, მელორის — ი. ცერაძე.

ამ მსახიობთა შესრულებაში მეთ-ნაკლებად, მაგრამ მაინც იგრძნობოდა წაღიანი ანსამბლური, გულწრფელი განცდის სპექტაკლის შექმნისა. რეჟისორულად გონე-მსხვილურად არის მოფიქრებული გვირისტიმის გამ-მავარება მუსიკალი, კრების სცენაზე გმოვრების „ლი-ტოზანას“ თამაში და ზოგიერთი სხვა მიზანსცენა. სწო-რედ ამ სცენებში ჩანს რეჟისორის ნიჭი და მისწრაფე-ბა ბეისის ორიგინალურად წაკითხვისა. სპექტაკლში არის დაღუფვა, მონოტონური და სქემატური ცდენე-ბი. მაგრამ ის, რაც კარგი გამოჩნდა, არ შეიძლება არ გეახარებს არ გავიმედებს.

ვ. გავლოვეას პიესა „თქმულება დედაზე“ რთულა დრამატურული კომპოზიციის პიესაა. იგი ეხება უაღ-რესად მტკიცებულ საკითხს. მეტად დრამატულია პიე-სის სიტუაციური ქარკა. სამშელო იყო და ერთი ოჯა-ხის ტრაგიკული ისტორია დედ ემოციურ დაძაბულ-ბას ქმნის. რეჟისორმა ვ. კაიროვმა სწორედ ამ ემო-ციურ საწყისს გაუსვა ხაზი. დედამ (ლ. ვალაშვილი) გაზარდა შვიდი ვაჟი. ქმარი 1928 წელს დაეღუპა და მას აქვთ მარტოხლამ დაზარდა შვილები. დაიწყო ომი და ჰებულები ჯარისკაცები გახდნენ. ისინი დაიღუბნენ მტერთან ბძობაში. ოჯახში დარჩა შვიდი რძალი. ამ უაღრესად მძაფრ მოვლენას საფუძველად უდგეს სე-მარტოდ, ცხოვრებისეული ვაჭკობი. თეატრი ბოლომდე ერთგული დარჩა ამ სიმართლისა. ჩვენს წინ გაცო-ცხადდნენ გ. ტაურავაშვილს (ურუშვაგი), ზ. ჯიოვეის (ხამიცი), დ. ვაბარაშვილს (ახსარ), გ. ბეკოვეის (ახსარ-ტაგი), რ. ჩაბიევის (ბატარაზი), ვ. ვილდოვეის (სო-ლანი) და რ. ზაგოვეის (აკაშაში) გმირები. მათ გულწრფელ აქტიორულ შესრულებაში არის პრიფე-სიული კულტურა და სახეა სწორი ფსიქოლოგიური გახსნა.

სპექტაკლის აქტიორული ღონე გვაფიქრებინებს. რომ ვაცილებით მეტია მსახიობთა შესაძლებლობა, ისინი თეატრში სიამოვნო ძალას წარმოადგენენ. თუ რეჟისურა გონივრულად გამოიყენებს, მათ ბევრი სიხარულის მოტანა შეუძლიათ მყურებლისათვის.

სპექტაკლის მეორე ნაწილს აკლია რეჟისორის ხე-ლი. სუსტია პიესის მონტაჟი. თითქმის ნახევარ საათს გრძელდება საფინალო სცენა, რომელიც რამდენჯერ-მე პოულობს საფინალო წერტილს და ისე ჰკარგავს, რომ ასე გეგონებათ ყველაფერი თავიდან უნდა და-იწყოს. საჭირო იყო ამ სცენების იმგავრი მხატვრუ-ლი ორგანიზაცია, რომ დრამატული დაძაბულობა სენ-ტიმენტალიზმით არ შეცვლილიყო. ამ თვალსაზრისით რეჟისორის კვლავ აქვს სამუშაო.

ვასილ კიანაძე



## ქუთაისის თეატრალური თეატრები

თეატრის მუშაობის თეატრალური ხელოვნების უძველესი და უახლესი სახეობაა. ამ თქმში არაფერია პარადოქსული. დროის ქროლვას სეისმოლოგიური გერმონებლობით „აღწესავს“ თეატრს. ასე იყო ძველად და ასე რჩება ახლაც. ესაა ამ თანრის ღირსება და, თუ ვგებავთ, სპეციფიკური თავისებურებაც.

ხელოვნების ამ დარგს განსაკუთრებულ ღირსებას მატებს ხალხებობა. იგი ყველაზე დემოკრატიული ფორმაა სანახაობით ქართველ შორის და თავისი ფესველით იჭრება წარსულში.

თვითმედიერს თეატრის კლასიკური ეროვნული სახე განიხილავს. მათ მთვებრებულად იყენებდნენ და იყენებენ თეატრის მესვეურები ხალხის კრიტიკული და მოქმედებლების გამოსახატავად, საზოგადოებრივი ყოფის მანიჭერი ფორმების განსაზღვრავად.

თეატრს კომიკურის შემკრები ფოკუსია, იგი თავის თავში უხვად მოიცავს სატირას, იუმორს, ირონიას, გროტესკს, ბუფონადასა და პაროდისა, იგი არის აგრეთვე შეუდარებელი იმიტაციურიც, არც იუმორის მსუბუქე საბურველად ფარებული ლირიკულია და გულის სითბოა მისთვის უცხო. სხვა დანარჩენის მიმართ თეატრს უბრადად არის და აწეულია მისი ამტკველებმა. არც არის ამის აუცილებლობა. ეს მისი ბუნების საწინააღმდეგო მოქმედება იქნებოდა.

სადაც დაფიქრებულია ეს სპეციფიკურობა, მარცხივ იქ არის და პირუქუ — ვინც თეატრული სანახაობის თავისებურებებს გრძნობს, იქ გამარჯვება სანახევროდ მიანც განადგებულია.

ასეთ აზრს ბადებს ქუთაისის თეატრების თეატრის ამჟამინდელი სპექტაკლები. ვინც ახლოს იცნობს ამ თეატრის მუშაობას, მისთვის აშკარაა თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის, მისი რეჟისურის, მხატვრობის, მსახიობთა შესრულებაში სიახლისაყენ სწრაფის ტენდენცია. ამ მხრივ მოპოვებული წარმატებები ექვპარეშა და ქების ღირსია.

საქართველოში თეატრების თეატრი ბავშვთა „მონოპოლიას“ წარმოადგენს. ხელოვნების ამ ზედმიწევნით საინტერესო დარგს მოკლებულნი არიან მობრდილები და თეატრის დაბავზობის შეზღუდულია. თეატრი იძულებულია უარი თქვას თეატრალური აზროვნებისა და სახიერების იმდაგვარ ფორმებზე, რომელიც ბავშვის გონებისათვის მიუწვდომელია. თეატრის კი ასეთ პირობებში ბევრი რამ რჩება სათქმელი.

საქართველოში მობრდილობის თეატრული წარმოდგენის შემქნის რამდენიმე ცდა იყო მხოლოდ. მათ რიცხვს ემატება ქუთაისის თეატრის თეატრის დადგმა „იუბილე“. პიესის ავტორია გ. კლდიაშვილი. სპექტაკლი გინებამახვილური პაროდია იუბილე მანიით შეპყრობულია ადამიანების მიმართ. აქ მხლებულია აგრეთვე პირმოთენობა, მლიქვნელობა, ზოგიერთი იუბილეს და იქ გამართული კონცერტების ტრაფარუტურობა.

მოქმედება ფრინველთა სამყაროშია გადატანილი, მაგრამ ალუგორული მინიშნება ცხაბურ უხვადესია. რეჟისორის (ვახტანგ ქუთათელაძე) და მსახიობების ქალაქობრივი პოზიცია სწორია ასასახვი მასალის მიმართ, იგი მოწინავე საზოგადოებრივი აზრის გამოხატ

ველია და მიმართულია თეატრულია და თეითობრივად ქეცულ პარადოქსის წინააღმდეგ.

„სამანიშვილის დედინაცვალა“ თეატრის რეპერტუარში მკვიდრი ადგილი დაიკავა, იგი თეატრის სარეპერტუარო აქტივშია შესული და ავერ უკვე ამ წელსვე მეტია, რაც დიდი წარმატებით იდგებოდა. დიდმა ნაწიერმა ხელოვნანმა თეითურავ ლოროთქვანიძემ კომიკურის მახვილი შეგრძნებით განასახიერა დადგმა და სპექტაკლის მთელ მანძილზე შეინარჩუნა იმერული ყოფის ბეჭი და კლორირტი. წარმოდგენა ერთნაირ სიამოვნებას განაცუენებს, როგორც ბავშვებს, ისე მოზარდებსა და მოზრდილებს. ყველა თობის მაყურებელი ამ თავის „მხატვრულ სარდლს“ თბებულობს.

იმვე ინტერესს იჩენს სხვადასხვა ლობის მაყურებელი ლ. სანიჭის ორიგინალურად გაზრებული პიესის „ნატერისთვალის“ მიმართ. დადგმა ყურადღებას იქცევს აქტიურული განსახიერების თვალსაზრისითაც. კოტეხის მსახიობი აქ უმშველო კონტრასტშია თეატრისთან და ორივე ერთად კი მაყურებელთან. ეს დადგმას განსაკუთრებულ მომზიბეულობას მატებს, იგი მიგვანიშნებს თეატრული თეატრის დიაბაზონზე, გამოსახველ საშუალებათა მდიდარ შესაძლებლობაზე.

როგორც ქუთაისში, ისე თბილისში თეატრების თეატრების მისწრაფება შექმნან რეპერტუარის მობრდილობითი წინაგანი მოთხოვნეულობითაა ნაკარნახევი.

ცხოვრებამ, თეატრული ხელოვნების განვითარების თანამედროვე დონემ თავად წამოჭრა ეს საკითხი ჯა არ მოქმდება ამას ანგაროში არ გაეწიოს.

შეგარა როგორც არ უნდა იყოს მობრდილობათვის პიესების შექმნის ცალკეული ცდები, თეატრების თეატრის ძირითად და უმთავრეს ამოცანად მიანც საბავშვო რეპერტუარი რჩება. ქუთაისის თეატრის თეატრის აქ ძირითად საქმეს მსახურება მთელი მონღომებითა და გულისყურით. თეატრის სამხატვრო ხელომძღვანელი და ამ საქმის დიდი ენთუზიასტი, ხელოვნების დამს. მოღვაწე ლევან შენგულია თეატრის თავს უყრის ნიჭიერ რეჟისორებს და მხატვარ გ. ბერეჩიკიძისა და კომპოზიტორ გ. ჩირაქის ინტენსიური თანამშრომლობით შესანიშნავ რეპერტუარს შექმნის ბავშვებს.

თეატრის მოქმედ რეპერტუარში თორმეტი დასახელების სხვადასხვა პიესაა. საოქტომბრო დღესასწაულის დღეებში ქუთაისის თეატრის თეატრის კოლექტივმა სამი ახალი წარმოდგენა უჩვენა ნორჩ მაყურებლებს. რა თქმა უნდა, მსახიობთა დიდი თავგამოდება და თავისი პროფესიისად უზომო სიყვარული რომ არა, ასეთ შედეგს ვერ მივიღებდით.

თეატრის ყველა წარმატებას, და მით უფრო, თეატრების თეატრის, მსახიობთა შემოქმედებით მუშაობა განსაზღვრავს. ეს მუშაობა — განსაკუთრებულად მძიმე და დასაფასებელია თეატრის მიღმა მოქმედ ადამიანთათვის, რომლებიც საკუთარი სულისა და გულის ნაწილს ანდობენ უსტულო საგნებს და მათთვის გასაგები ხელოვნების ენაზე უთარგმნიან და მოუთხრობენ ნორჩ მაყურებელს ცხოვრების სიბრძნეს და აზნანს.

ალექსანდრა ზალუაშვილი

„6 ი ნ 6“

ხელმოწმების დამსახურებელი მოღვაწეების დრამატურ გ. ნახუციშვილის და კომპოზიტორ ალ. მაკრახაშვილის ახალი ოპერეტა „ნინო“ ავტორებმა და ეასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მიუძღვნეს.

სექტაყლის დამდგმელმა რეჟისორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ შ. მესხმა ნაწარმოების სცენურ ენაზე წაითხვისას სახეებით სწორი გზა აირჩია — უეტყდა, პლაკატური არ ყოფილიყო გმირთა შინაგანი ლტოლვის დამოახილი და მათს ფიქრებს, გონებით გასხივინებულ მიზნებს სინახაობითობისაკენ გაუნხსა გზა. მასობრივ სცენებში ეპოქის რიტმი, დრამის კოლორიტი ჩაჰსოვა, ხოლო ლრიკულ ნაწილებში ახალი ცხოვრებისათვის შემართულ ადამიანთა ძალა, ენერჯია და პოეტური მომხიბლავობა გვიჩვენა. ლიტერატურული, მუსიკალური და რეჟისორული მასალის მიმართება სწორად გაიხარა სექტაყლის დირაჟორ რ. ზურცილავამ. მან წარმოდგენის პარტიტურა ეპოქის სულიერი მოძრაობის მუსიკალურ გამოხატულებოდად აქცია. საქ. სსრ სახალხო მხატვარმა სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა დ. თავაძემ სექტაყლის მხატვრული გაფორმება ძუნწი, თანამედროვე გამოხატულობითი ხერხებით, მაგრამ ეპოქის კოლორიტის დრმა შენარჩუნებით გადაწყვიტა, ხოლო, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ბალეტმეისტრმა დ. მაკუაპარიანმა წარმოდგენის ავტორთა ჩანაფიქრს პოეტური ქორეოგრაფიული სახაზები შეუთავსა. მწყობრად, თანმიმდევრულად, ნაწარმოების გმირთა მოქმედების თანახმად ამჟინად სექტაყლში გუნდს ქორმეისტრი ი. მელიას ხელმძღვანელობით. ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის მებრძოლის მიმიზიდული საეშეშენის ნინოს როლის შემსრულებლებმა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ეგა. გურაშვილმა და თ. შერცილავამ. ჭკვიან, დაფიქრებულ, გამბედავ, სახალხო საქმისათვის თვადღებულ ადამიანად წარმოგვიდგინეს ლადო ახალგაზრდა მსახიობებმა ნ. პაპიაშვილმა და ბ. ნებეირიძემ. უამრავ საგმირო საქმეთა ჩამდნია ც. აღდეგას პატარა ბიჭი ვალიყო. ხელმძღვანელის სახეს სატავს ნ. დათვიკაშვილის გიორგი, ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის იბრძვის ა. ვაგორიშვილის აშული, ახალი დროების დადგომის გამო საყუთარ განწირულებას კარგად გმრნობს ი. ვასაძის მინისტრი, მაგრამ ძალაუფლების ჭკვიანურად გამოყენებას მინისტრი ბოლომდე ცდილობს. საყუთარ ძალაში მტრეცედ დაწმუნებული ადამიანის კარგ სახეს იძლევა ა. შალიკაშვილი ინგლისელი გენერლის როლში, შექმნილ ვითარებათა და ვარემობათა გამო მოულოდნელად გარეგნულ კაცის როულ ფსიქოლოგიას წარმოგვიდგინენ შალვას სახეში რესპუბლიკის დამსახურებელი არტისტი ი. ბაბქაძე და მსახიობი ჯ. თალაკვაძე. ძალზე კოლორიტული, მუსყე, ხალისისგვია ნ. პეტრიაშვილის მიერ შესანიშნავად შესრულებული შეჭრე. უშუალობის, სახასიათო სანის გამოხატულებითი ხერხების ბრწყინვალე დემონსტრაცია ნ. შინდაშვილის ნატო. ვაიჭვარად, ქლდანატიურ ადამიანად წარმოგვიჩინავენ ბიჭიკოს რესპუბლიკის დამსახურებელი არტისტი

ტი თ. ხელაშვილი და მსახიობი ჯ. კახიანი. სულ ერთ სურათში მოქმედებს ონოფრე, მაგრამ რესპუბლიკის დამსახურებელი არტისტი ი. ქუთათელაძე სახასიათო სახეში იმდენ ოსტატობას აქსოვს, რომ იგი მაყურებელს ამახსივრებდა. მუშაუნური თვისებებითაა აღსავსე რესპუბლიკის სახალხო არტისტი ელ. ჩიხელისა და მსახიობი ნ. ჩიხლაშვილის მიერ შესრულებული მაგრა.

წარმოდგენის წარმატებაში, მის რიტმი და ტემპში გარკვეული წვლილი შეაქვთ დ. მაკუაპარიანის ჩარჩის, რესპუბლიკის დამსახურებელი არტისტი თ. ხელაშვილი ჩინოწენის, თ. ბაზღაძის პარტენს. ნ. კოდნოვას კახელ დედაიკას, ნ. ლალიძისა და მ. სურგულაძის იმერელ დედაიკას, რესპუბლიკის დამსახურებელი არტისტი პ. სუციშვილის მოიოს; ით. ცერცვაძის თავაუ სიმონიკას, ნ. ლალიძის და ა. კვიციანიას მანდილოწენს, ა. გოგორიშვილის ძეკუს და სხვებს.

რალა თქმა უნდა, სექტაყლი ნაყოლიანი მხარეებიცაა არ არის დაზღვეული, შეიძლება ბევრ რამეში შეეცადავით დრამატურს, კომპოზიტორს, მსახიობებს, რეჟორს, მაგრამ „ნინო“, საერთოდ თეატრის კარგი საჩქარია სასწაულო სახელმწიფოს 50 წლის სახელოვანი იუბილესადმი.

3. ტაბატაძე

„ო. ჯ. ა. ხ. ი.“

ი. კომპოზის პიესა „ოჯახი“ მარტივად არის დაწერილი. ავტორი უშუალოდ პიორაფიულ შტრიხებს ემყარება და დრმა ფილოსოფიურ განზოგადებებსა და მხატვრულ კოლოზიებს გრძიდება. მაყურებელს იზიდავს ულიანოვლის ოჯახის სიბოზო, ეპიზოდების სიპირაობა და ადექსანდრე ულიანოვის ტრაგიკული ბეღით გამოწვეული დრამატიზმი. პიესა არ აძლევს რეჟისორს მდილად მასალას შემოქმედებითი ფანტაზიის ვასაშლელო. მიუხედავად ამისა, გორის სახელმწიფო თეატრში ამ პიესამ მოსაწონი განსახიერება ჰპოვა.

ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟისორმა ლილი იოსელიანმა კომპოზიტორად მთლიანი, მხატვრულად დახეწილი, იდეურად გამაჩვიებელი, პოეტურად ამალბებული და ემოციური სექტაყლი შექმნა.

მაყურებელი მას თავიდან ბოლომდე დაძაბული ინტერესით უყურებს და სცენურ ცხოვრებას უშეუალობით აღვიწყებს. სექტაყლში თითქმის არ არის მოქმედების არც ერთი დეტალი, რომელიც მაყურებელს გულწრფელ გამაჩხიერებას, რეაღერებას არ იწვევდეს. კარგი შთაბეჭდილება დატოვა რეჟისორის მიერ ეკრანის საშუალებით შეტანილმა პირობობმა და ეპიზოდმა. ეს სურათები შინაარსობრივად ამდიდრებენ სექტაყლს და მაყურებლის წარმოდგენას წარსულზე.

ორიგინალურად არის ჩაფიქრებული მხატვრის (შ. ხუციშვილი) მიერ სექტაყლის დეკორაციული ვადაწყვიტა, მაგრამ წიგნების თაროები რომ თავიდან ბოლომდე უცვლელად რჩება, წარმოდგენის რიტმს ერთგვარად მონოტონურს ხდის, უნერხულ ასოციაციებს აღძრავს წიგნის თაროებზე ფეხით სიარულიც.

როლებს მსახიობები გაგებით და პასუხისმგებლობით ასრულებენ.

მოსაწონია ა. გვაძაბიას ელადიმერ ულიანოვი სექტაყლის პირველ ნახევაარში, შემდეგ კი მას უფრო მეტი დახეწვა და სრულყოფა ესაჭიროება.

# ნი ნო დ ა ვ ი თ ა შ ე ვ ი ლ ი

## ღაბაღმზის 85 წლისთავის გამო

1914—1915 წლების თეატრალური სეზონი ქუთაისში საკმაოდ ძლიერი იყო. ამის ნათელსაყოფად საკმარისია დავახსნელით ამ სეზონში იქ მომუშავე რამდენიმე გამოჩენილი მსახიობი: ნინო დავითაშვილი, ტასო აბაშიძე, ნატალია ჭავჭავაძე, მარია მდივანი, ლალო მესხიშვილი, ვალერიან გუნია, გიორგი არაღელი-იშხნელი, ვალერიან შალიაშვილი, იუზა ზარდალიშვილი, ვიქტორ გამყრელიძე, ანდრო მურუსიძე და სხვ. მე წილად მხვდა ბედნიერება, სხვა ახალგაზრდა მსახიობებთან ერთად მემუშავნა ასეთ შემადგენლობაში.

ნინო დავითაშვილი, ნუცა ჩხეიძე, ნატალია ჭავჭავაძე, ალიქსანდრე იმედაშვილი, იუზა ზარდალიშვილი, ანდრო მურუსიძე იყვნენ ლალო მესხიშვილის ღირსეული მოწაფენი, რომლებმაც თავისი ნიჭი და შემოქმედება საცოდის უკანასკნელ დღემდე ხალხის სამსახურს შეაღიეს.

ნინო დავითაშვილი იყო ცნობილი ხალხსონისა და საზოგადო მოღვაწის შიო დავითაშვილის ასული. დედა მისი კი საუკეთესო მეოჯახე და თეატრალური მოღვაწე იყო. ნინოს დედა ადრე გარდაცვალა და მისი აღზრდა ბიძამ იკისრა. წერა-კითხვა ბიძაშვილებმა უწავსწავლეს, შემდეგ კი კერძო პირებთან მოემუშადა მასწავლებლის უფლებათუ გამოცდების ჩასაბარებლად. ნინო დავითაშვილი თბილისში დაუახლოვდა ავუქციის ადგილობრივთან არსებულ მუშა-ხელოსანთა თეატრის შეთარაგებს და ცნობილ საზოგადო მოღვაწეს მარიამ დემურიას, რომლის ინიციატივითაც იგი აღნიშნული თეატრის სცენაზე გამოვიდა ნიკო გოცირიძის რეჟისორობით. 1902 წელს ნ. დავითაშვილმა ვალერიან გუნიას წინადადებით მონაწილეობა მიიღო „გამოსაცდელ წარმოდგენაში“, რის შემდეგაც ჩაირიცხა მსახიობად თბილისის დრამატულ დასში. ნინოს სასცენო ნათლობას ესწრებოდნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. ილიამ მოიწერა მომავალი მსახიობი და საგამოცდო ფურცელზე დაუწერა: „დავითაშვილის ქალი უმეცველად უნდა იქნეს მიღებული დასში“, ხოლო აკაკიმ სადებიუტოდ თავისი ტურფა შესთავაზა „პატარა კახიდან“.

ნინო დავითაშვილის ოჯახი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართული ხალხის საკეთილდღეოდ მებრძოლ თაობასთან. ჭერ მამამ ჩაუწერა მსწრომლო ხალხის სიყვარული, შემდეგ ბიძაშვილებმა, ცნობილმა რევოლუციონერმა მიშა დავითაშვილმა დაახლოვა რევოლუციონერ და ამ ბედნიერების ნათელი სხივი შეერჩა მთელი ცხოვრების მანძილზე ეს ნათელი სხივი გზას უნათებდა მთელი 80 წლის განმავლობაში. ყველაფერი ეს იმითმ მოხდა, რომ ნინოს თაობა ხალხისთვის თვდადებული ადამიანების მიერ იყო აღზრდილი, იგი მუდამ ადამიანის გაკეთილმოხილებასთვის იბრძოდა. იგი დიდი ოსტატობით ასრულებდა ტურფასა და ოფელეას, ივდითსა და ზეინახს, გაიანეს და ანტიკონეს...

ნინოს გაიანეზე აღფრთოვანებული რეცენზენტი წერდა:

„საუფლოდ გაიანე იყო ნინო დავითაშვილი, გუ-

ლუბრყვილო, უმანყო, გვირბი, მიტეზი გაშლილი, გაფურჩქნალო უცხო ყვავილი, ცქრიალა და მოქიქვი მერცხალი. უფრო მეტიც...“

ბევრი გაიანე მინახავს ქართულ სცენაზე, მოსკოვში და პეტერბურგში, მაგრამ ნინო დავითაშვილს ვერავინ შეედრებოდა. ბრწყინვალე დიქცია და იშვიათი გარეგნობა დიდად ემხარებოდა როლის ბრწყინვალედ განახიერებაში.

ნინო დავითაშვილი იბრძოდა ადამიანობისათვის სცენის მიღმა. დიდი რევოლუციონერების მიერ გაწვრთნილი ქალი უანდარმებს ებრძოდა, პროკლამაციებს აფრცელებდა, რევოლუციონერებისათვის წარმოდგენებს მართავდა, საკუთარი ოჯახი მთ თვემესასვარად ჰქონდა გადაქცეული.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი იყო ერთ-ერთი აქტიური მებრძოლთაგანი ახალი საბჭოთა თეატრისა. კოტე მარჭანიშვილის გვირდით დიდი ენერჯითა და გატაცებით იბრძოდა საბჭოთა თეატრის პრინციპების გამარჯვებისათვის.

1914 წ. სეზონში ქუთაისში დავითი აკაკის „პატარა კახი“. კახის როლს ნინო ასრულებდა. ამ წარმოდგენას აკაკი ესწრებოდა. მე ვიამაშობდი ქვაბულოძეს. წარმოდგენის შემდეგ აკაკი სცენაზე ამოვიდა, საექტაქციის მონაწილეთ ქებით მოგვემართა. განსაკუთრებით კმაყოფილი დარჩა ნინოს მიერ კახის როლის შესრულებით. ნინოს შუბლზე ვამოხრა. დიდ პოეტს თვალბეში სიხარულის ცრემლები აუკრავდა.

ნინო დავითაშვილი იყო იშვიათი მეგობარი, ერთგული თანამგზავრი თავისი მეუღლისა და აღმზრდელი ორი ვაჟისა, პურადი, ხელგაშლილი, სტუდენტის მოყვარული.

უკვე ხანდაშული გადავიდა მოხუც ქალთა როლების შესრულებაზე. უკანასკნელ ხანებში რუსთაველის სახელობის თეატრში განსახიობა: პრასკოვია („კვიციანი“), გლუმოვა („ზოგჯერ ბრძენიც შედებდა“), ფატმა („ჩაძირული ქვები“), ნატო („ჩემი ვარსკვლავი“), ევეშია („ნიკოლოზ ბარათაშვილი“), ფატმა („ირმის ხევი“) და სხვ.

სულ განსახიერებული ჰქონდა 200 როლი. ყოველივე ამის გამო იყო, რომ 1931 წელს ნინო დავითაშვილს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის, ხოლო 1943 წელს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა. 1946 წელს იგი დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის“ ორდენით, 1950 წელს შრომის წითელი დროშის ორდენით. 1946 წელს მედლით „მამაციური შრომისათვის 1941—1945 წწ. დიდ სამამულო ომში“.

1955 წელს გადაუხადეს ღვაწლის 70 წლისთავის აღსანიშნავი ობობი.

ნინო დავითაშვილი იყო შესანიშნავი მოქალაქე. თავმდაბალი, პრინციპული ადამიანი, სიკვდილამდე შეუბღალავად ატარებდა პატიოსანი ქართველი ქალის, ქართველი საბჭოთა მსახიობისა და საბჭოთა მოქალაქის სახელს. სიძნელეთა წინაშე ქილუბრელი, დედასავითი შუქნათელი, სხვისანსი, ნიჭიერი ნინოს სახელი დიდი ასობით ჩაიწერა ქართული თეატრის ისტორიაში.

ღაბიოთ ჩაბიძა

# ნავალი ჯავახიშვილი

დაბადებიდან 85 წლისთვის გამო

რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნატალია გრიგოლის ასული ჯავახიშვილი ქართული თეატრალური ხელოვნების მოღვაწეთა რევოლუციამდელ თაობას ეკუთვნის. იგი ნახევარი საუკუნის მანძილზე თავდადებით და უნაგაროდ ემსახურებოდა ქართულ სცენას. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენი ეროვნულ თეატრალური ხელოვნების აღორძინებისა და მისი განვითარების საქმეში.

ნატო ჯავახიშვილი დაიბადა თბილისში, 1882 წელს, მოსამსახურის ოჯახში. როგორც კი ასაკი შესრულდა, მშობლებმა ნატო თბილისის ეპარქიალურ სასწავლებელში მიიბარეს.

ნატო ბავშვობაში მეტად მკვიციბლი, გონებაშიველი და მოსწრებული სიტყვა-პასუხის პატრონი იყო და სასწავლებელშიც წარჩინებით სწავლობდა.

ნატო ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს შეიყვარა თეატრი. იგი სისტემატურად დადიოდა ქართულ წარმოდგენებზე და თავისთვის, ოჯახურ გარემოში ინსცენირებებს აწყობდა. მისი ნიჭი და უნარი არ გამოპარვია ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეს მარიამ დემურისას, რომელმაც ურჩია ნატოს თეატრში მისულიყო და მსახიობობა დაეწყო.

ნატოსაც ეს უნდოდა. იგი სიამოვნებით დეთანხმებოდა მ. დემურის წინადადებას და 1901 წელს პირველად აკვალის აუდიტორიის სცენაზე გამოვიდა. აქ იმ ხანებში ქართული თეატრის კორიფეს ვ. აბაშიძის რეჟისრობით ავ. ცაგარელის პიესა „ციმბირელი“ დაიდა. ნატომ „ციმბირელში“ მამუიას როლი შეასრულა. ახალგაზრდა გოგონამ მაყურებელთა მკაფიოლება დაიმსახურა. მისი თამაში მოეწონა თვით ვასო აბაშიძეს და პიესის ავტორს ა. ცაგარელს. ა. ცაგარელი წარმოდგენის შემდეგ სცენაზე ავიდა, გულწრფელად მიულოცა წარმატება ახალგაზრდა დებიუტანტს და ურჩია სცენასათვის თავი არ დაეხეებინა.

რა თქმა უნდა, ნიჭიერი დრამატურგის ასეთმა თავზაიანმა მოპყრობამ და შექებამ, ვ. აბაშიძის ფაქტზე და მოკიდებულებამ ნატოს ფრთები შეაფხა და წაახალია. ამ წარმატებით აღფრთოვანებულმა გადაწყვიტა თავისი ბედი საბოლოოდ ქართული თეატრისათვის დაეკავშირებინა.

მალე ნატო ჯავახიშვილი აკვალის აუდიტორიის სცენის მოყვარეთა კოლექტივში მიიღეს და ამიერიდან სისტემატურად მონაწილეობდა სპექტაკლებში, აქ ხშირად გამოდიოდნენ ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, კ. მესხი და ქართული თეატრის სხვა გამოჩენილი მოღვაწეები. მათი რჩევით ნატო პროფესიულ თეატრში გადადის საშუალოდ და შემდეგ ვასო აბაშიძის ბენეფისშიაც დაბეჭდვას მონაწილეობდა.

ნიჭიერმა ახალგაზრდა მსახიობმა მალე თბილისის საზოგადოება ალაპარაკა. ქართული სცენის მშვენიერად მომსახურებელი, რომელიც იმ ხანად ქუთაისის თეატრს ხელმძღვანელობდა, იმდენად მოეწონა ნატოს მიერ შესრულებული როლები, რომ იგი თავისთან მიიწვია და საპასუხისმგებლო როლები დააქისრა.

ქუთაისში ყოფნის დროს ნატო ჯავახიშვილი დაუახლოვდა ცნობილ მსახიობს და რეჟისორს ვალერიან შალიკაშვილს და მალე თავისი ბედი ერთმანეთს სამუდამოდ დაუკავშირეს. ორივე თავდადებით ემსახურებოდა ქართულ თეატრს.

1905-06 წლის სეზონში ნ. ჯავახიშვილი ეკლავ თბილისშია. აქ მან 1919 წლამდე დაყო. იგი გამოდიოდა სახალხო თეატრის სცენაზე, ქართული დრამატული საზოგადოების დასში და სხვ. შემდეგში ნატო მოღვაწეობს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში: სოხუმში, ბათუმში, ქიათურაში, 1921 წლიდან კი საბოლოოდ გადმოვიდა თბილისში, რუსთაველის სახელობის თეატრში.

ნატო ჯავახიშვილი ასრულებდა უმთავრესად კომიკურ როლებს, თუმცა მას მრავალი დრამატული ხასიათი აქვს შექმნილი. ნატოს აქტიურულ შემოქმედებას ახასიათებდა: შესრულების სისადავე, ძალდაუტანებლობა, ტემპერამენტი და განსახიერებელი პერსონაჟების ბუნების გრძნობა. იგი დამამახსოვრებელ სახეებს ქმნიდა და მისი სცენაზე გამოსვლა ყოველთვის იპყრობდა მაყურებელს. ნატოს თამაშს ყოველთვის გულსხმიერად ხვდებოდა ქართული პრესა, კრიტიკა გულწრფელ შემოქმედს ღირსეულს უზღავდა. ნატო ჯავახიშვილს შესრულებული აქვს მთავი (ალ. სუშკოვაშვილის „ღალატები“), მარიამი (ი. გვეგეანიშვილის „მსხვერპლი“), კატო (ნ. შიუკაშვილის „შეგებობა“), ხანუმა (ავ. ცაგარელის „ხანუმა“), მამიდა (ტრ. რამიშვილის „სტუმარ-მასპინძლობა“), არინა გალიჩხა (ოსტროვსკის „უღანაშაულო დამნაშავენი“), დედოფალი პეტრუდა (შექსპირის „ჰამლეტი“), ესთერი (კ. გუცოკის „უჩიერე აკოსტა“), კორნელია (მონტის „კაი გრახი“) და სხვ.

ნატო ჯავახიშვილის ღვაწლი ქართული სასცენო ხელოვნების წინაშე ღირსეულად იქნა დაფასებული, 1934 წელს მას რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ხოლო 1946 წელს — რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა. ნ. ჯავახიშვილი გარდაიცვალა 1950 წლის 2 სექტემბერს.

ნიკო კვიციანი

ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩვენმა მკითხველმა მიიღო თეატრალური ტერმინთა მცირე ლექსიკონი. საქართველოს თეატრალური საზოგადოების სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება დანტერესდა თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა ლექსიკონის მეორე ნაწილზე. ამ საკითხზე განყოფილების თანამშრომელი თინა ტაბიძე ესაუბრა აკადემიკოს **გიორგი ახვლედიანს**, რომელიც თეატრალური საზოგადოების სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭოს უცვლელი თავმჯდომარეა დღემდე ამ საბჭოს დაარსებისა. საუბარში გიორგი ახვლედიანმა განაცხადა:

— როგორც ცნობილია, საქართველოს თეატრალური საზოგადოებასთან არსებული სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭო, რომლის სარედაქციო კოლეგიაშიც ჩემს გარდა, შედიან ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი დ. ჯანელიძე, პროფესორი გ. ჩხიკვაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ჩხიძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შ. ძიძიგური და დოცენტი ბ. ნიკოლაიშვილი, კარგა ხანია მუშაობს ქართული თეატრალური ტერმინოლო-

გიის დადგენაზე. მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ჯერჯერობით, დღის სინათლეზე გამოგვეტანა თეატრალური ტერმინოლოგიის მხოლოდ გარკვეული ნაწილი — დრამატული თეატრის ტერმინები.

ამჟამად სარედაქციო კოლეგია მუშაობს ამ ტერმინების მეორე ნაწილზე, რომელშიც გარდა დრამატული თეატრების ტერმინებისა შევა ავრთვე კინოს, ცირკის, ქორეოგრაფიისა და სათეატრო მუსიკის ტერმინოლოგიას.

ჩვენი მიზანია. დავადგინოთ ტერმინების სწორი წარმოთქმა და სწორი დაწერა. აღნიშნულ წიგნში შევა მხოლოდ ის ტერმინები, რომლებიც დღესდღეობით არის გავრცელებული და საერთოდ იხმარება. გარდა ამისა, მას დაემატება ძველი ქართული თეატრალური ტერმინები, რომელზეც მუშაობს პროფესორი დ. ჯანელიძე. შრომაში შევა დაახლოებით ათი ათასამდე ტერმინი. ამჯერად ჩვენ მხოლოდ ტერმინებს დავადგენთ, შემდგომ შრომაში კი ამ ტერმინების განმარტებები იქნება წარმოდგენილი.

ვფიქრობთ, რომ ამ შრომას მომავალ წელს ზიილებს მკითხველი.

## დიდა მსახიობის საემობლოში

მზნანი იყო დღეში თი ოქტომბრის ბოლო დღე. 31 ოქტომბერს ქალაქის ცენტრალურ მოედანზე თავი მოიყარა დღეშითისა და მისი ახლო-მახლო სოფლების მოსახლეობამ. ისინი მოვიდნენ, რათა პატივი სცენ თანამემამულის, ქართული სცენის სიამაყის ვასო აბაშიძის ხსოვნას. აქ, ამ დღეს, იმ ადგილას მდგარ შენობის ერთ-ერთ კედელზე, სადაც ადრე იდგა სახლი, რომელშიც ვასო აბაშიძე დაიბადა, სახეიმი ვითარებაში გაიხსნა ვასო აბაშიძის მემორიალური დაფა. მემორიალური დაფის გახსნისადმი მიძღვნილი რაიონის მშრომელთა სახელდახელო მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ დღეშითის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა **არჩილ შადურმა**. მან სიტყვა მისცა

საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარეს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს **დიდო ანთაძეს**. შემდეგ სიტყვით გამოვიდა დღეშილი მასწავლებელი **ვ. კასრაძე**.

სალამის რაიონული კულტურის სახლში გაიმართა ვასო აბაშიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა დ. ანთაძემ.

მოხსენებით „ვასო აბაშიძე და ქართული თეატრი“ გამოვიდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი **დ. ჯანელიძე**.

სიტყვები წარმოთქვეს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა **ვანტანგ სალარიძემ**, მწერალმა **ერემია ქარელიშვილმა** და ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ **ოთარ ევაძემ**.

დამსწრეთ ვ. აბაშიძეზე მოგონებები გაუზიარეს **ვ. კულუღაშვილმა**, **ვ. ნაკაიძემ**, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ **დ. ჩხიძემ** და საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა **ვ. ნინიძემ**.



მისხმეში სახელმწიფო დრამატული თეატრის დარსების სიხარული ჭერ კიდევ არ განელეულებო, რომ მთელი ქართული თეატრალური საზოგადოებრიობა კვლავ ახალმა მღელვარებამ შეიპყრო — რუსთაველი გაიხსნა დრამატული თეატრი!

ეს დიდი ეროვნული სიხარული იყო ჩვენი ხალხისათვის, მის მნიშვნელობას კიდევ უფრო ვაზღვრავდი ის ფაქტი, რომ ახალი ქართული თეატრის გახსნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ამ წლისთავის საზეიმო დღეებს დაემთხვა. ეს მაგალითი კიდევ ერთი უტყუარი დადასტურებაა საბჭოთა ხელოვნებაზე კომუნისტური პარტიის გამუდმებული ზრუნვისა.

რუსთავის ახალ თეატრს \*ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე ჩაუღვა სათვალვეში. გიგა ლორთქიფანიძეს კარგად იცნობს ჩვენი თეატრალური საზოგადოებრიობა და მაყურებელი. მოსკოვის, თბილისის, ქუთაისის და სხვა თეატრების სცენებზე მის მიერ დადგმულმა სპექტაკლებმა საყოველთაო ყურადღება დაიმსახურეს. უკანასკნელ წლებში მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე მან რამდენიმე შესანიშნავი სპექტაკლი განახორციელა. ახლა რეჟისორი შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის პროცესშია და ეს გვაფიქრებინებს, რომ იგი რუსთავიდანაც გაახარებს ჩვენს მაყურებელს.

ახალი თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი თითქმის მთლიანად ახალგაზრდა მსახიობებით დაკომპლექტდა. თეატრის მსახიობთა საშუალო ასაკი 28—29 წელს არ აღემატება, აქ არიან უკვე ცნობილი მსახიობები ი. მღვინეიშვილსკისი, თ. მაისურაძე, ი. უჩანაშვილი, მ. გორგოლაძე, ლ. ანთაძე, მ. ლომიძე, ქ. კვიციანი, მ. შანაბლიძე და სხვანი. თეატრის სპექტაკლებს მხატვრულად აფორმებს ახალგაზრდა მხატვარი მ. მალაზონია.

ამ ნიჭიერი კოლექტივის მხატვრული შესაძლებლობანი კარგად გამოჩნდა მათხვე პირველ სპექტაკლში. თეატრის გახსნის დღეს რუსთაველებმა მაყურებელს წარმოუდგინეს ცნობილი ფრანგი დრამატურგის დიდმუღ როსტანის პიესა „სირანო დე ბერტურაი“. ეს არის ხალხიანი პიესა ერთ ფრანგ პოეტზე. თეატრმაც ამაღლებული ტონით, საზეიმო განწყობილებით განახორციელა ნაწარმოები.

თეატრის გახსნის დღეს რუსთავეში ჩავიდინე დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ყველა დიდ სიხარულს მოეცვა. სასიხარულო სულსიკვეთება კარგად გამოჩნდა სპექტაკლის შემდეგ, როცა ტიბურნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ომბარობები. თეატრის გახსნას მიესალმნენ და სიტყვები წარმოსთქვეს: საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა ზ. ზაქარაიძემ, რუსეთის მეტალურგიული ქარხნის მილსადენიკი სამაქროს უფროსმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა პ. წერეთელმა და რუსთავის ქიმიური და მეტალურგიული ტექნიკუმის დირექტორმა შ. საანიშვილმა.

თეატრის გახსნის დღიდან რამდენიმე ხნის შემდეგ კოლექტივმა კვლავ ახალი სპექტაკლი უჩვენა მაყურებელს. ეს იყო ვ. კორსტილევის „ასი წლის შემდეგ“. აღმინანებს უყვართ ოცნება. ერთმა ცნობილმა რუს-

მა მსახიობმა სთქვა: მოდით, უფრო მეტი ვიოცნებოთ, რადგან ზოგჯერ ოცნებაც ახდება ხოლმეო. რატომაც არა!

ვახტანგოვის თეატრი სამხატვრო თეატრმა შვა, ვასტანგოველთა ნეწიდან იშვა ჭერ „სოფრემენიცი“ და შემდეგ ი. ლუბიოვის „თეატრი ტავანაზე“. ამ თეატრებმა ბევრი სიხალე შემოიტანეს საბჭოთა თეატრალურ ხელოვნებაში და კიდევ უფრო განაღვიდეს ის თეატრი, რომელიც მათს წინაპარად ითვლება.

რუსთავის თეატრი მარჯანიშვილის თეატრის ნეწიდან იშვა. ამ დიდი ტრადიციების მქონე თეატრის პირმშობა იგი და, როგორც ერთგული შვილი, არც ის შემარცხვენს შობილის სახელს, გაუფრთხილდება მას. უფრო მეტიც — კიდევ უფრო ძლიერად გააცისკროვნებს მის სახელს.

ეს მხოლოდ ოცნება არ არის.  
ეს არის რწმენა...

ბ. აბრამიძე

## მომქმე რესპუბლიკათა ყრილობაზე

წელს ჩვენს მომქმე რესპუბლიკებში გაიმართა თეატრალური საზოგადოებების ყრილობები. საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ ყრილობების მუშაობაში.

ნიმუბერში კომინოვში გამართულ მოღვაწეთის თეატრალური საზოგადოების ყრილობის მუშაობაში საქართველოდან მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე დიდი ანთაძე, საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ილია თავაძე და თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ილია ანთაძე. ყრილობას მიესალმა დიდი ანთაძე.

ორ დღეს მუშაობდა ყირგიზეთის თეატრალური საზოგადოების ყრილობა, რომელშიც საქართველოდან მონაწილეობას იღებდნენ თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი იაკაშვილი და სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილების რედაქტორი გურამ ბათიაშვილი, ყრილობას მიესალმა გიორგი იაკაშვილი.

მომქმე უზბეკეთის თეატრალური საზოგადოების მორიგ ყრილობებზე, რომელიც დეკემბრის დამლევს გაიმართა, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები იყვნენ დ. ანთაძე, ე. ქარელიშვილი და სსრ კავშირის სახალხო არტისტი პეტრე ამირანაშვილი. ყრილობას მიესალმა დ. ანთაძე.

მომქმე რესპუბლიკებში ჩასული ჩვენი წარმომადგენლები აკენენ მოღვაწეთის, ყირგიზეთისა და უზბეკეთის თეატრალურ ცხოვრებას, მათი დედაქალაქების ღირსშესანიშნაობებს.



# გვესაუბრებიან მოწინაინი

**მიმღინარა** წელს უმინშენლოვანის ფაქტი მოხდა ქართული თეატრის ისტორიაში — პირველად მისი არსებობის მანძილზე რუსთაველის სახელობის თეატრი გასცდა ჩვენი სამშობლოს საზღვრებს და უსცხოველ მაყურებელს უჩვენა თავისი ხელოვნება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ გასტროლებმა წარმატებით ჩაიარა.

ჩვენი თანამშრომელი შეხვდა გასტროლების ზოგიერთ მოწინააღმდეგეს და სხობვა გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებები.

## არჩილ ჩხარბიშვილი

რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი

**რუმინეთში** მაყურებელს ოთხი სპექტაკლი ვაჩვენეთ — რ. ებრაღისისა და ს. დლოიძის „ჩვენ, მისი უდიდებულესობა“, სულხან საბა ორბელიანის ნაწარმოებთა მიხედვით შექმნილი „სიბრძნე სიცრუისა“, მ. ელიოზიშვილის „ბებერი მესურნები“ და „II სცენა“. სამ ქალაქს ვესტუმრეთ რუმინეთში. ეს ქალაქები იყო ბუქარესტი, კლუჟი და ტირგუშორა.

პირველად წარმოვადგინეთ „ჩვენ, მისი უდიდებულესობა“. შედგენითა იმაზე ლამაზი თუ როგორ ველადავით. როგორ მივაღივებს უსცხოველ მაყურებელი, გაიგებს თუ არა ჩვენს ჩანაფიქრს, ჩვენსავით დაინტერესდება თუ არა იმ პრობლემებით, რომელიც ვაჭყუებდნენ.

ეს კითხვები გვიღრღნიდა გულს. თანაც არ ვიცოდით, როგორ იქნებოდა დაძლეული ენობრივი ბარიერი. გადასცილდა თუ არა თარგმანი ყველაფერს?

და აი, დაიწყო სპექტაკლი, გულწრფელად, რომ ვთქვათ, უცებ შევფიქროვით — შეგავსინა დარბაზის სიცივემ და თავდაპირველობამ. მაგრამ როცა მაყურებელიც ჩაითარა სპექტაკლში, მათაც დაიწყეს ემოციური დაუსვრავად გამომეფიანება, ხოლო, როცა მეორე დღეს კინოქრონიკამ და ტელევიზიამ ბუქარესტს ჩვენი გასტროლების კარგად დაწვეება აუწყა, ცოტა დავემშვიდდით, პირველმა მძლეობებმა გაგვიარა. შემდეგ ვაჩვენეთ „სიბრძნე სიცრუისა“ და „ბებერი მესურნები“. უჩვეულო წარმატება ხვდა წილად „II სცენას“. იგი იწყებოდა „ხოვანი მინდითი“ და მთავრდებოდა „ვეფხისტყაოსნით“. აქვე რეპერტუარში გვქონდა ერთი სცენა რუმინული დრამატურგის კლასიკოსის იონ ლუკა კარაჯალეს პიესიდან „დაკარგული ბარათი“. განსაკუთრებით დიდი მოწონებით სარგებლობდა ის სცენები, რომელშიც სერგო ზაქარაიძე მონაწილეობდა.

კარგად გამოვეჩვენაურა პრესა, საღამოს რომ სპექტაკლს ვაჩვენებდით, რეცენზიები დილით უკვე დაბეჭდილი იყო. რეცენზენტები ლამაზაკობდნენ, რომ თეატრი ეძებს ახალ გზებს, რომ თეატრის სამი თოთხა ერთიან კოლექტივადაა შეკრული, რომ გასტროლოზრებმა გვაჩვენეს ჩინებული ხელოვნება და სხვ. ასეთი შეფასების მოსმენა განსაკუთრებით სასიამოვნო იყო იმათგან, ვისაც თავიანთ ქალაქში ხშირად უნახავთ საბჭოეთისა და უცხოეთის მრავალი თეატრი.

## გუზარე სალბარძი

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი

**რუმინეთში** ჩვენს გასტროლებზე საკმაოდ ბევრი ოქცა და დაიწერა. სასიამოვნოა, რომ ჩვენ არ შევლახეთ ქართული თეატრის ღირსება და ეს დიდი გამოცდა წარმატებით ჩავაბარეთ. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი თეატრის კოლექტივისათვის, რომელშიც უმთავრესად ახალგაზრდობა ქარბობდა.

გვექონდა ბევრი საინტერესო შეხვედრა. გავცანით რუმინეთის ლიტერატურის და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ეს შეხვედრები ოფიციალური მიღებებზე კი არა, ჩვენიან, თეატრის კულისებში ხდებოდა. მასპინძლები აღფრთოვანებული შემოდიოდნენ და წარმატებას გვილოცავდნენ. მე არასოდეს დამავიწყდება როგორი სიყვარულით გვეპატიობდა „ვეფხისტყაოსნის“ რუმინულ ენაზე მთარგმნელი ვიქტორ კერნახი. არც ერთ სპექტაკლს და დასტულება პროფესორი იონ ნანუ, რომელიც საქართველოს ისტორიას იკვლევს და ამბობს, რომ ქართულმა არქიტექტურამ დიდი ზეგავლენა მოახდინა რუმინულ არქიტექტურაზე. ვნახეთ ანთიმოზ ივერიელის (მას რუმინეთში ანთიმო ივერიანულ იცნობენ) მიერ აშენებული ეკლესია, მის მიერ გამოყენებული წიგნები, „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი უძველესი გვეგემლიარი და მრავალი სხვა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ რუმინელებმა კარგი მასპინძლობა გავგვიწიეს.

## პარლო საკანდელიძე

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი

**ბუქარესტი**. იონ ლუკა კარაჯალეს სახელობის სახელმწიფო თეატრი. მიღის ქართული წარმოდგენა „ბებერი მესურნები“. ჩვენ — ბუხუტი ზაქარაიძე, რამაზ ჩხვიჭავაძე და მე ერთი საბარლო, ქართველი ბებრუხანები ვართ. ჩვენი ცხოვრების მწუხრი დამდგარა. ვმღერით, ვუქარბავთ და არ ვიცით რამდენად დაინტერესებულნი ჩვენი ბები რუმინელებს. როგორ შევარბევთ მათი გულის სიმებს. მაგრამ სპექტაკლი დამთავრდა თუ არა ტაშს და ოვაციებს საზღვარი არა ჰქონდა. იმ საღამოს 18-ჯერ გადაიხსნა კარაჯალეს თეატრის ფარდა და 18-ჯერვე ქართველ ბებრ მესურნების უქარბადნენ ტაშს. მერე გასაცარი კიდეც იყო, რომ კულისებში თვალცერმებელი მამაკაცები და ქალები შემოვიდნენ. როგორც ჩანს, გავიგეს, მიხვდნენ ჩვენი გულან ფიქრს. თურმე რუმინელებსაც ჰყოლიათ ჩვენითანა ბებრუხანა მესურნები.

ეს ერთი შთაბეჭდილებაა რუმინეთში ჩატარებული გასტროლებისა. საერთოდ კი, ჩვენ შეხვედით უაღრესად მომთხონესა და გულისმზიერ აუდიტორიას; აუდიტორიას, რომლის თეატრალური გემოვნება იმდენად დახვეწილია, რომ ვერაფერს გამოაპირებ და უბრალო სცენურ სიყაბღებს პირად შეურაცხყოფად დებულობს. მოგვიხილა ბუქარესტმა, მისმა არქიტექტურამ მისმა ნაგებობებმა და კეთილმა ადამიანებმა.

# ესპანელები ქივის ქუჩაზე

1919 წლის ზაფხულში. კიევის ქუჩებში ორკესტრანტები მიიბიჯებენ. მათ ფეხდაფეხ მისდევს ბრელი ბრბო — მე-16 საუკუნის დასაწყისის ესპანელი გლეხების, მეომრებისა და დიდებულთა ტანსაცმელი გამოწყობილი.

ეს ჩვენა ვართ — ლენინის სახელობის თეატრის მსახიობები. მივდივართ, რათა მუშათა უნებს ვუჩვენოთ ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“.

„ცხვრის წყარო“ ჩვენს თეატრში დადგმული პირველი სპექტაკლია (აღრე ამ თეატრს სოლოვევის სახელი ერქვა). პეტლიურებისაგან კიევის განთავსულების შემდეგ, აპრილის შუა რიცხვებში კ. ა. მარჩანოვის ხელმძღვანელობით დაიწყო მუშაობა და პირველ მაისს უფეე მაყურებელთა წინაშე გამოვიდით. ორი კვირა თეატრში მუშაობის მრავალი წლის მანძილზე მე არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, რომ ვინმეს ასეთ უმოკლეს ვადაში მოემზადებინოს სპექტაკლი. მეუდა რაგორი სპექტაკლი! — გრანდიოზული, ნათელი, ტემბერამენტით აღსავსე, სპექტაკლი, რამელიც მთელი თავისი მიმართულებით საბჭოთა ხელოვნულებისათვის საბრძოლველად მოგიწოდებდა.

სპექტაკლში გლეხის როლს ვთამაშობდი. მე თვით სოფლიდან ვიყავი წამოსული და კარგად მესმოდა მენგოს სულიერი მდგომარეობა. მის მიერ სამართლიანობისა და ცხოვრებისეული სიმართლის ძიება ბევრ რამეში ვიშვებოდა ჩემსა.

მარჩანოვი დილაობით მოვიდოდა რემეტიციებზე, პირში განუშორებელ პაპიროსს ჩაიდებდა და იმდენ აზრს, სპექტაკლისათვის საკირო მუსიკალურ თუ ფერით ახლებურ მიგებას ვაგვიზიარებდა, რომ ერთ კორიანტელს დააყენებდა. თავის შთაგონებასა და ფანტაზიას ჩვენც ვაღიზიანებდა. ასეთ რეჟისორთან მუშაობა ბედნიერება იყო.

სპექტაკლის გამოშვების წინ მარჩანოვა გვითხრა: — მებრძოლები თეატრიდან პირდაპირ ფრონტის ხაზზე წაუდნენ. ჩვენი ტყვიები მტრებისადმი სიძულვილის წამლით უნდა შევკავშოთ...

სინამდვილეში ასეც მოხდა — წითელი არმიის მეოთხეებს ჯერ ჩვენს სპექტაკლებზე მოჰყავდათ ჯარისკაცები და ფრონტის გზას მერე ვაუღლებოდნენ.

„ცხვრის წყაროს“ ფინალიში, როცა გლეხები გამარჯვებას ზეიმიდნენ, შთაგონებული მაყურებლები დაიბაზნენ „ინტერნაციონალს“ მღეროდა. მებრძოლები რევოლუციური ჰიმნით გამოდიოდნენ ქუჩაში და ამ სიმღერითვე მიემართებოდნენ ფრონტის წინა ხაზსაკენ.

ახალი თეატრალური მაყურებელი მქუხარე ოვაციებით უხვდა ჩვენს სპექტაკლს, ჩვენ ჩვენს შთაგონებას ვაღვივებდით მაყურებელს, ის კი თავისი ენთუზიაზმით აღვავთროვავებდა. ლიტურჯიას მონოლოგებს ისეთი თვაციები ახლდა თან, რომ ჩვენ გვეშინოდა თეატრის კედლებისა, ისინი ზანზარებდნენ და ავერავდნენ თან დაემსგებრებოდა ისტაზში მოსულ ხალხს.

ხოლო რაც შეეხება აჯანყების სცენას... ჩვენ ვეკარავდით რამის შეგრძნებას, ვერწყმოდით და ვუერთ-

დებოდით მაყურებელს და ყველა რაგორი მზად იყო დაუყოვნებლივ ებრძოლა დამპყრობლებთან. ამდენად დიდი იყო ხელოვნების ზემოქმედების ძალა, ასეთი იყო აქტიური შთაგონებისა და რევოლუციური ენთუზიაზმის ძალა, ასეთი დიდი ძალანტი იყო გასხვონებული „ცხვრის წყაროს“ დადგმა. სიამაყით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მსახიობები ამ სპექტაკლთ შევედით პარტიზმი და ამაზე უფრო დიდი ჯილღო ჩვენივეს არც არსებობდა.

## 6. სპელოვილი

სსრ კავშირის სახალხო არტისტი

„ტეტარალანია ვინა“, № 20.

## ნილზანე შედეგებს

„საბამოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საღამო“ — ასე ეწოდებოდა საღამოს, რომელიც 25 დეკემბერს მოაწყო საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილებამ, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დარბაზში.

ეს საღამო მიეძღვნა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკად გამოცხადების 20 წლისთავს.

მეგობრობის საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარემ, პროფესორმა ვახტანგ ბერიძემ. ვ. ბერიძემ ილაპარაკა რუმინეთის მიღწევებზე უკანასკნელ წლებში და სიტყვა მიმეტა რუმინეთის მიეწიერებათა აკადემიის გენერალურ მდივანს რადუ გიენივას. რადუ გიენია ამბობს, რომ მისთვის დიდად სასიხარულოა აქ ყოფნა, რომ იგი იმყოფება მეგობრებს შორის, რასაც ყოველ ნაბიჯზე გრძობს.

შემდეგ ვ. ბერიძე სიტყვას აძლევს რუსთაველის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგეს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ნათელა ურუშაძეს. ნ. ურუშაძე აღნიშნავს, რომ ვასტროლებმა დიდი წარმატებით ჩაიარა და რუსთაველის თეატრმა რუმინეთში შეიძინა ერთგული მეგობრები.

შემდეგ სავასტროლო მოზაზურობის შესახებ ლაპარაკობს რუსთაველის თეატრის მთავარი რეჟისორი რესპუბლიკის სახალხო არტისტი არჩილ ჩხარტიშვილი. არჩილ ჩხარტიშვილმა უკრადღება გაამახვილა იმ მთავარ მომენტებზე, რამაც განაპირობა თეატრის წარმატება უცხო ქვეყანაში, ილაპარაკა იმ კონტაქტებზე, რომელიც დამყარდა თეატრსა და რუმინეთის თეატრალურ საზოგადოებრიობას შორის. ბოლოს მოკლე სიტყვით გამოვიდა რუსთაველის თეატრის სავასტროლო სპექტაკლების მთარგმნელი რუმინელ ენაზე ფ. ჯინაჩიხაშვილი.

1968 წლის იანვარში ფართოდ აღინიშნება ფუნჯის დიღოსკანის, სამშობლოს ცისა და მიწის, მისი ველ-მინდვრებისა და მთების, ქართველი კაცის სულიერი სილამაზის შთაბრუნებელი მხატვარი უჩა ჯაფარიძის იუბილე. იგი ოროც წელზე მეტია, რაც გატაცებით ემსახურება თავის ხალხს და ამდიდრებს ერის სულიერ საუნჯეს. ეს იუბილე სამშობლოს უბრალო ვალოს მისა-და როდია თავისი დეკლამაციით შვილის წინაშე. ეს შეგახება ამ დიდი შემოქმედებითი შრომისა, რომელიც მან სოციალისტური რეალიზმის მხატვრობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის გასწია.

უჩა ჯაფარიძის შემოქმედებით ინდივიდუალობა აღდრება გამოკვეთა. მისმა ფერებით დიდიანმა პალიტრამ, გამოსახვის საკუთარმა საშუალებებმა თავიდანვე მიიქცეს საყოველთაო ყურადღება. უჩა ჯაფარიძე მუდამ თანმიმდევრულად იცავდა, ანვითარებდა და სრულყოფდა არჩეულ მეორად, რითაც ყოველთვის გვიჭერებდა რეალიზმის დაუსრუტელ შესაძლებლობებში.

უჩა ჯაფარიძე თავისთავადი მხატვარია. იგი არავის გავს და, როგორც ყოველი ქემშარტი ინდივიდუალობის მქონე მხატვარი, თვითონაც გაუმეორებელია. უჩა-საგან შეიძლება ბევრმა ისწავლოს, ისევე როგორც თვითონ სწავლობდა გამოჩენილი წინაბრძებისაგან, მაგრამ მისი წაბაძვა შეუძლებელია. უჩას ნათელი მხატვრული ტალანტი ღრმად და მრავალმხრივ, საგნებსა და მოვლენებს იგი თავისებურად ხედვას და თავისებურად აღიქვამს. ამიტომ, ერთსა და იმავე ღრმს, კიდევ აგრძელებს კლასიკური რეალიზმის გზას და ნოვატორულიც არის.

უჩას ფუნჯი ფართო დიაპაზონისაა, მაგრამ იმავე ღრმს, უღარესად ეროვნულია. მის საღებავებში ყოველთვის იგრძნობა მშობლიური მიწის სურნელები.

ყველა სურათში უჩა თემის შესატყვის კოლორიტს პოულობს და ძალიან უშუალოდ აღიქვამს მას. გაიხსენოთ „შეხვედრა“ — ფუნჯე მდგომი სამი ფიგურა და იქვე მათ ფეხებთან მწოლიარე ვერძი. აქ, გარდა იმისა, რომ მომხიბლავი ინტონია შექმნილი, პლასტიკური მეტყველების ბუნებრივობა კომპოზიციის იშვიათ ბუნებრივობას ერწყმის, თქვენს წინაშეა კლასიკურად სრულყოფილი ნაწარმოები, სადაც ყოველი წვრილმანი დეტალიც კი შედამიწევნით ზუსტად არის დამუშავებული. აქ გრძნობთ მხატვრის თვალის სიმპხვილესაც და ხელწერის სიმტკიცესაც.

ეს დირსებები აძლევენ მიმზიდველობას და ემოციურობას მხატვრის სხვა ნამუშევრებსაც. რაოდენი ტუბობა და მწარე მოგონებების აშლილება „სიერმის მეგობრები“. ამ სურათში სიერის მიგონებები, ცერმანის ნეტს მოხუციობაში შეხვედრიან და წარსულის მოგონებებში ჩაიბრუნენ სათანო გრძნობებს აღძრავენ, იშვიათ სიბოლო გამოსცემენ. ავტორს ამ სურათში ბევრი ფიქრი ჩაუქსოვებია და ყოველი ჩვენგანი მას თავისებურად აიხსნის. ქემშარტი დიდ მხატვრულ ჩანაფიქრს ერთნაირი გაგება არაა მოუძღვრება აქვს. მხოლოდ მარტვი ნაწარმოები წარსიხვება ერთნაირად!

„ბაზრობის კუთხის“ ნახვისას თქვენ თვალში გაცოცხლდება ქართული ბაზრობის მთელი კოლორიტი, — ბაზრობის თავისებურებაც და ადამიანების ხა-

სიათიც. თვითმულ პერსონაჟს მხატვარი ინდივიდუალურ დახასიათებას აძლევს.

ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა აგრეთვე „მგზავრების შეხვედრა“, „საულისსმო საუბარია“, „იმერელი“, „რაფიკრელი“, „საყვედურია“, „მგზავრების შეხვედრაში“ ბუნებრივ კომპოზიციასთან ერთად საუბარიც ძალდაუტანებელი და იმდენად უშუალოა, რომ თითქოს გესმით კიდევ მათი აზრთა დინება და გინდათ თქვენც გამოვლენაარაკოთ, ჩაერთოთ მათს საუბარში. გულგრილად ვერ ჩაუვლით გვერდს! „საგულისსმო საუბარია“ ხომ იშვიათი ინტონითაა აღბეჭდილი. მასში სადაც რბილი და კეთილი იუმორის შტრიხებიც შეიქმნება, „იმერელი“ ნამდვილად კლასიკური შედევრია შესრულების პროფესიული ოსტატობითა და ტიპის მრავალმხრივი შინაგანი დახასიათებით. „საყვედურს“ მიმზიდველობას ბუნებრივობა და განცდის სიმათივე აძლევს. ახალგაზრდებს ერთნაირი გულწრფელად უყვართ და თავიანთი ამ წმინდა განცდის საჩარო განხედსა ერიდებიან, განსაკუთრებით მორცხვი ჩას ქალიშვილი. იგი, აღბთ, გაურბის ვუთან შეხვედრას, რათა არავინ შეაწინიოს და დასძიროს. ვაჟიც სწორედ ამას უსაყვედურებს. „დამნაშავე“ ქალი თავჩაღუნული დგას, ხმას არ იღებს, მაგრამ თავის მოხლეჩვეულ შინაგან მდგუარებას ეჭვ ფარავს.

არავის ისე ღრმად არა ეჭვ დამუშავებული დედის თემა, როგორც უჩა ჯაფარიძეს. დედა მხატვრისათვის კონკრეტული ცნებაც არის და ზოგადაც: ამ თემის გადამწყვეტს იგი აუვშირებს დიდ პატიოტულ მოტავებთან. ქართველი ქალი წყაროსთან დგას სამშობლოს ღამაში პერსონის ფონზე და ღრმად ფიქრებს მისცემა („დედის ფიქრები“). ამ თბილად და შთაბრუნებით დახატულ ფიგურაში თქვენ შეივნებთ დედასაც, რომელიც წყაროს საამო ჩუხ-ჩუხზე და მთის ნიაზე შევლემის ბედზე ფიქრს მისცემა, და ქართველ ქალსაც (ვაზე დედა), რომელიც მთელი სამშობლოს ბედზე ფიქრს უშუაყრია. ასეთივე განწყობილებით არის დაწერილი „მშობლიურ მიდამოებში“.

ფილოსოფიური განწყობილებითა და შესრულების იშვიათ ოსტატობით იქცევს ყურადღებას „დედა“, „განუზომადი დიდი მისი ემოციური ძალა. ერთი წუთით რომ წარმოვიდინოთ, ტილოზე დროთა ვითარებამ წაშლის მთელი გამოსახულება და მხოლოდ ხელის მტვინი გადარჩეს, მაშინაც შეუძლიან მნახველს სურათის მთელი სილიად შეიგრძნოს. დანაოტუბული შთობი, ფიქრში წასული სვედიანი თვალები და სისხლისაგან ნახევრად დაკლილი, მაგრამ გაკაყეული თითები განვლილი ფერ-ვარამის ამუნსველი მატანის ფერდაკარგულ მჭრელებებს მოგაგონებთ.

ზემო რაჟაში დაბადებული და მისი ღამაში ბუნების წიაღში აღზრდილი უჩა ბუნებაზე შეყვარებულია, იგი ხშირად მიმართავს საქართველოს ბუნების სილამაზეს და გატაცებით ხატავს პერსონებს. მაგრამ სხვა პერსონებისაგან განსხვავებით უჩა ყოველთვის უპირატესობას ადამიანს ანიჭებს. იშვიათად შეხვედრებით უჩა ჯაფარიძის შემოქმედებაში პერსონებს, სადაც ადამიანი ან გროსი, შიპიტი, მრძანებელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყველგან ადამიანია. მხატვრის წარმოდგენაში ადამიანის იღმრთია, რომელსაც ყველაფერი ემორ-



# საქართველოს წიგნის წიგნის

## სოციალისტური კულტურა

\* \* \*

ჩილება, და არა მარტო ემორჩილება, ადამიანის გარე-  
შე სილამაზე, მშვენიერება სრული არ არის. ამ დედ-  
აზრის უჩინო ყველა სურათში შეიგრძნობთ, მაგრამ გან-  
საკუთრებით მეცხრედ ის მოჩანს იმ სურათებში, სა-  
დაც პეიზაჟის ფონზე ადამიანები მთელი თავიანთი ფი-  
ზიკური ძლიერებითა და სულიერი სილამაზით არიან  
დახატული. აი, მაგალითად, იგივე „მშობლიურ მიდა-  
მოვებში“, „დედის ფიქრებში“, ან კიდევ, „სოციალური  
უფროსი“, „ქალი ჩაფთი“, „ბაბუას სიხარული“, „ლა-  
რელი ქალი“, „მაგვარი“ და სხვ.

როდესაც უჩა ჯაფარიძის შემოქმედებაზე ვლაპარაკობთ, პირველყოფისა, მის პორტრეტებს უნდა მი-  
ვაპყროთ თვალი. უჩა დიდი პორტრეტისტია. ეს მო-  
ჩანს როგორც მის პორტრეტებში, ისე კომპოზიციებში,  
ი. ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღის“ ილუსტრაციებში, სადაც  
ფიგურათა სახეები პორტრეტულად ყველგან დასრუ-  
ლებულია

პორტრეტებში უჩა განსაკუთრებულ მხატვრულ და-  
მეცხრედობასა და ემოციურობას აღწევს. იგი არ კმა-  
ყოფილებდა ობიექტის გარეგანი მსგავსებით, ღრმად  
ესმის და ზედმიწევნით გადმოგვიცემს მის შინაგან ხა-  
სიათს. უჩას სასუეთესო პორტრეტებია: „ფ. ფალიაშვი-  
ლი“, „ვ. ანჭავაძე“, „სულხან-ხაბა ორბელიანი“,  
„შოთა“, „ილია“, „აკაკი“, „დავით გურამიშვილი“, „მე-  
ნატე ნინოშვილი“, „ლესია უკრაინკა“, „უშანგი ჩხეი-  
ძე“, „გადაკეთონ ტაბიძე“ და სხვ. ამ პორტრეტებში  
ტივენ ზღმუნახებდა აღიქვამთ დიდ შემოქმედთა ბო-  
ბოქარ სულს, მათს აზრთა ჭიდილს, ამაღლებულ განც-  
დებსა და მისწრაფებებს. თვითული ეს პორტრეტი  
ხელოვნების სრულყოფილი დიდი ქმნილებაა. მაგრამ  
მათგან მე მაინც მინდა გამოვყო ჩვენი ეპოქის დიდი  
პოეტის გალაკტიონის უკანასკნელი პერიოდის პორტ-  
რეტი. თუ წინა პერიოდის გალაკტიონის პორტრეტი  
უფრო გარეგანი მსგავსებით იქცევა ყურადღებას, ეს  
პორტრეტი ღრმსენსიანია თავისი მთლიანობით. აქ  
გარეგან მსგავსებასთან ერთად დაჭერილია მარად სიახ-  
ლის მაძიებელი პოეტის მშფოთვარე და მოუწყვნარი  
სული.

უჩა ჯაფარიძე არ ღალატობს ნატურას, მაგრამ ჭეშ-  
მარიტი ხელოვნანისთვის მთავარი მთავრად მხატვრული  
სიბრძნეა, ის განწოვადებული სილამაზეა, რაც ნა-  
წარმოებს უყვავს ხდის. ეროვნული იერი და სახითი  
წოვადაკობრიულის ოქროს წოლია. მისი სურათებ-  
დან უხვად იფრქვევა ცოცხალი სინამდვილის სურნე-  
ლება და ნოყიერება. სიბრძნე, სიღრმისეული, კეთილ-  
შობილება — სულია უჩას შემოქმედებისა, სინაზე და  
სიჭაჭოზე — მისი წერის დამახასიათებელი მანერა, ხა-  
ზის, შტრიხის თვისება.

უჩა ჯაფარიძე ობიექტის მხატვრული, რადგან მის  
წარმოებებში ყოველთვის სიცოცხლის ტრფიალს შე-  
იგრძნობთ, დიდი სევდის გამოხატვის დროსაც კი იგი  
სიცოცხლეს აღიღებს და ადამიანების გულში უჩეთე-  
სისაყენ ლტოლვის ციხეს აღივებს.

პირამიძე ქარაილიძე

„შეხვედრები საქართველოში“ — ასე ჰქვია მ. ლე-  
ვინის სტატიას, რომელიც „სოციალისტური კულტურის“  
მეცხრედის ნომერში დაიბეჭდა. სტატიაში ლაპარაკია  
ახალციხეში სახელმწიფო დრამატული თეატრის  
განხილვის დიდ მნიშვნელობაზე. მ. ლევინი განიხილავს  
ახალციხის თეატრის ახალგაზრდული კოლექტივის პირ-  
ველ სექტალებს — ოთარ ჩხეიძის „თედორეს“ და  
პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერს“ და დადებით შე-  
ფასებას აძლევს როგორც რეჟისორებს (ნ. დემეტრა-  
შვილი, დ. ციციანიშვილი), ასევე მსახიობების დეაქტებს.  
მ. ლევინი სტატიაში ეხება აგრეთვე სხვ. სახელო  
არტისტებს პაპაიუნი (სირაბუბს შემოქმედებით თავისებუ-  
რებას და ლაპარაკობს ა. ხორავას აქტიორულ ოსტატო-  
ბაზე. ერთგან მ. ლევინი წერს:

„ოტელოს ბევრი შემსრულებელი მინახავს, მათ  
შორის იყვნენ ვაგრამ ფაფაშანი, ოსტუფევი, იურევი,  
პოლიაკოვი, კასიშვილი, რისკულიანი (ნ. ბოლოს, ლო-  
რენს ოლივი (ცხადია, იგი არ არის ბოლოს მოსახსენ-  
ებელი), მაგრამ ისეთი უდიდესი ძალი, ისეთი სკულპ-  
ტურული პასუხმენტური ოქლოვი, როგორც ა. ხორა-  
ვისი იყო, მე არ შემხვედრია. გამოჩენილი პიროვნების  
ბუნებრივი კეთილშობილება, უდიდესი სიმშვიდიდან  
მრისხანების გამოხატვით მოძრაობისაყენ უხვად გა-  
დანიცვლება, შინაგანისა და გარეგანის მომხილავი  
პარმონია სხვადასხვანაირად იჩენენ თავს აწნარასა და  
კარლ მოორში, ბერსენევა (რდევია) და ივანე მრის-  
ხანში.“

\* \* \*

რეზინიშვილი გასტროლებში შემდეგ რუსთაველის  
სახელობის აკადემიური დრამატული თეატრი მოსკოვს  
ეწვია. რუსთაველებმა, სხვა სექტალებთან ერთად,  
მოსკოვლებს უჩვენეს თავისი უკანასკნელი ნამუშევარი  
— რ. ებარაძისა და ს. დოლიძის „ჩვენ, მისი უდი-  
დებულისა“. ამ სექტალებს გაუთვია „სოციალისტური  
კულტურა“ 28 ოქტომბრის ნომერში გამოაქვეყნა  
ნ. მოსიენკოს რეცენზია. რეცენზენტი მიმოიხილავს  
პიესისა და სექტალების ღრმისა-წყალოვანებებს და  
დასასრულს აღნიშნავს:

„ეს დიდი გამარჯვება ახალგაზრდა რეჟისორის  
გ. ჭავჭავაძისა, რომელმაც დასძლია პიესის სქემატრ-  
ში. პიესაში არის პირობითად აღნიშნული პიროვნებე-  
ბი და ემიზონების მოკარბებული კინემატოგრაფი-  
კულია. აზრის რაღაც ბუნდოვანება, რომელიც განსა-  
კუთრებით მამა-შვილის პიროვნებისა და საწოვადო-  
ების ურთიერთდამოკიდებულების საკითხზე საუბრი-  
სას იჩენს თავს“ რეცენზორმა შექმნა პოეტური მო-  
თხრობა, სექტალები მშრომელ ადამიანზე. მისი ყოფის  
რომანტიკაზე. ეს წარმატება თეატრის მთელი კოლექ-  
ტივისა. პირველ რიგში ეს ბრწყინვალე ოსტატის სერ-  
გო ზაქარაიძის წარმატებაა.



## „ლიბერალური ბაზილი“

ამ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დ. აღეგისძემ კიევი ვანაშორციულ ბ. ლავრენიევის „რღვევის“ დადგმა. ამ სპექტაკლს ფართოდ გამოეხმაურა ჩვენი პრესა. „ლიბერალური ბაზილი“ (№ 48) ფურცლებზე დაბეჭდილი ი. ვიშნევსკაის წერილში ვითხულობთ:

„კიევი, ლესია უკრაინკას სახელობის თეატრში ოქტომბრის 50 წლისთავს ბ. ლავრენიევის პიესის „რღვევა“ დადგმით (რეჟისორი დ. აღეგისძე) შეხვდნენ ოდესხან, სწორედ აქ, უკრაინის მიწაზე გადაიშალა ახალგაზრდა საბჭოთა თეატრის პირველი ბრწყინვალე ფურცლები. ქართველმა რეჟისორმა კ. მარჭანოვმა აქ აჩვენა ლოპე დე ვეგას „ცხვირის წყარო“. ლავრენისა და მონოლოგის შემდეგ, რომელიც ტირანის წინააღმდეგ მოუხმობდა თანასოფლელებს, მაყურებელი „ინტერნაციონალის“ სიმღერით მიემართებოდა რამბისაკენ. შთაგონებულნი თეატრიდან პირდაპირ სამოქალაქო ომის ფრონტის წინა ხაზზე მიეშურებოდნენ.

არ შეიძლება ეს მოვლენა არ ვახსენო დღეს, როცა ქართველი რეჟისორი აღეგისძე უკრაინაში დგამს რევოლუციურ კლასიკას. არაფერი არ ჩაბარებია წარსულს, არაფერი არ შეჩერებულა — რევოლუცია მოქმედებდა.

ლავრენიევის „რღვევა“ ისტორიული დრამა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ამბები, რაც პიესაში ხდება, კრიევი „ავრორას“ გასროლასთანაა დაკავშირებული, ეს ნაწარმოები ისტორიული დრამა იმიტომაც, რომ „ლუბოვ იაროვაისთან“, „ჯავშნოსან 14-69 თან“ და „შტორმთან“ ერთად ჩვენი ქვეყნის თეატრებში ტრიუმფალურ სვლას იწყებდა ახალი გმირი.

რა დინახა დღეს რეჟისორმა ამ პიესა-ისტორიაში, ნაწარმოებში, რომელიც ერთ დროს უჩვეულო სიცოცხლით გამოირჩეოდა, დღეს კი თითქოს ქრესთომამტი-ისაფის განკუთვნილ ოხუნულებად ქცეულა?

რღვევა საზოგადოებაში, რღვევა კლასობრივი, ოჯახური, რღვევა, რომელიც სამყარო სამუდამოდ გაჰყო ორ ნაწილად — ძველ და ახალ სამყაროდ. მაყურებელს კვლავ ინტერესებს როგორ მიდის ხალხთან წარჩინებული — კაპიტანი ბერსენევი, როგორ გადაიქცევა სახალხო ბელადდ უბრალო მეზღვაური არტემ გოდუნო, მაგრამ დღეს კიდევ უფრო სინტერესისა დინახა და აჩვენო რღვევა, რომელიც ადამიანის ფსიქოლოგიაში ჰდება, დინახა და აჩვენო სულის დამწმენდი სიძლიერე რევოლუციისა.

თავის დროზე „რღვევის“ ავტორი ბ. ლავრენიევი წერდა: „მე მიწოდდა დამეწერა საოქტომბრის პიესა, სა-

დაც ერთი გასროლაც კი არ იქნებოდა. თავისი სიყალბით ყოველთვის ზიზღს მგვრიდა თეატრალური გასროლა“. სინამდვილეში ავტორი აქ ლაპარაკობდა გაცილებით მნიშვნელოვან მოვლენებზე, ვიდრე თეატრალური გასროლა. იგი ლაპარაკობდა იმაზე, რომ ვერა-ლითარი ვარგნული ეფექტები ვერ შეესაღწა ხსნათის ღრმა, ფსიქოლოგიურ გახსნას. რეჟისორმა და მსახიობებმა შესძლეს გადმოეცათ ეს მეორე, ასე ვთქვათ, ფსიქოლოგიური მნიშვნელობა რღვევის თემისა. რეჟისორი და მსახიობები გვეუბნებიან, რომ რღვევა მხოლოდ წარჩინებული ბერსენიევის შემეცნებაში არ ხდებოდა, ჩვენს თვალწინ ხდება მეზღვაური გოდუნის ჩამოყალიბებაც.“

შემდეგ რეჟისორები დაწვრილებით მიმოიხილავს მსახიობთა ისტატობას და მაღალ შეფასებას აძლევს სპექტაკლს.

## „ტ მ ა ტ რ ი“

„ბალეტი ღმერთთან მეტროპოლი ადამიანზე“ — ასე ჰქვია ქართველი თეატრმცოდნე ქალის ეთერ გუგუშვილის წერილს, რომელიც გამოქვეყნებულია ეთრნალ „ტეატრის“ სექტემბრის ნომერში. ეთერი გუგუშვილი ამ წერილში მიმოიხილავს ერევნის სუენდიარინის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დადგმულ ახალგაზრდა კომპოზიტორის ე. არისტაკერიანის ბალეტს „პრომეთე“. ქართველი კრიტიკოსი მაღალ შეფასებას აძლევს სომეხ მეგობართა ამ ახალ ნამუშევარს.

\* \* \*

ამასწინათ მოსკოვში გაიმართა ჩვენი ქვეყნის თეატრალურ მხატვართა საკავშირო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ჩვენი სამშობლოს ყველა რესპუბლიკის მხატვართა ნამუშევრები. ამ გამოფენას ეძღვნება „ტეატრის“ მე-9 ნომერში გამოქვეყნებული ხელოვნებათმცოდნე ელენე ლუცკაიას სტატია „ერთი თანავარსკვლავედიდან“. ელენე ლუცკაია ვრცლად მიმოიხილავს საბჭოთა თეატრალური მხატვრობის მიერ განვლილ გრძელ გზას, საგანგებოდ ჩერდება კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის დეაქტურ ქართული თეატრალური მხატვრობის განვითარების საქმეში, რომლებმაც ქართულ თეატრალურ მხატვრობას შესძინეს ირ. გამრეკეული და პ. ოცხელი. ე. ლუცკაია მაღალ შეფასებას აძლევს ამ მხატვართა შემოქმედებას. აქვე გამოქვეყნებულია ესკიზი სპექტაკლისათვის „გედების ტბა“, რომელიც ს. ვირსალაძეს შეუქმნია დიდ თეატრში განაშორციელებული სპექტაკლისათვის.

# ქილახმა ელაღეს

მთხრობა მიიღო ერთი მშვენიერი ახალგაზრდა ქალიშვილი, რომელმაც წელს თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრა.

მთავარმა რეჟისორმა, სანამ რაიმე როლს დაეკისრებდა, ერთგვარი გამოცდა მოუწყო. ახალგაზრდა მსახიობმა მოხიზლა იგი არა მარტო თავისი აქტიური ხმოვანი, არამედ მიკემული მოცინის გონივრული გადამწყვეტილიც.

— დეზდემონა! — იყვირა მთავარმა რეჟისორმა.  
— არა, პატივცემულო, მე ლიანა მჭეია და არა დეზდემონა.

— თქვენ ითანამებთ დეზდემონას როლს „ოტელოში“, რომლის რეპეტიციებს უახლოეს ხანში ვიწყებთ. ახალგაზრდა მსახიობს სჭაოთ ურევანტელმა დაუთარა. მართლაც, რომელ ახალგაზრდა მსახიობს არ აღაფრთოვანებს ასეთი როლის შესრულება.

... იმავე საღამოს მთავარი რეჟისორი ცოლს ესაუბრებოდა:

— ხვალ-ხვდ „ოტელოს“ ვიწყებ.  
— მაღლობა დღეროს, რომ გავიგებელია. აღარც კი მახსოვს როლის ვითარებას უქანასკნელად.  
— დეზდემონა თვითონ დღერთმა, ესე იგი თეატრალურმა ინსტიტუტმა გამოგიგზავნა. რა ნიჭიერი, რამშვენიერი ქალიშვილია...

— როგორ! დეზდემონას როლს მე აღარ ვითამაშებ?

— რაღათქმა უნდა, არა ჩემო კარგო, რაღა დროს შენი დეზდემონა. შენ შეასრულებ იაგოს ცოლის ამბოხის როლს. ო, რა როლია, რა მომგებიაინ! იცი, რას ამბობენ ამ როლის შესახებ კრიტიკოსები?  
— რას ამბობენ.

— ვეპიკავლ ამ როლის დამწერს უილიამ შექსპირსაო. მოდი და ამის შემდეგ ნუ გაგზავნიდას ასეთი როლის შესრულება.

— გათხოვ, ბოდავს თავი დანებო. დეზდემონას როლს ცოცხალი თავით არავის დაეუთმობ, ის ჩემი როლია.

— დაფირდი, ქალო, დეზდემონასთვის შენ უკვე მოხუცი ხარ. ამბოხის როლი კი ასე თუ ისე შენ ჯერ კიდევ დაგშვევინდება.

— ხმა, კინნტი! თორემ ხვალ დილითვე მთელ თეატრს ეცოცხლებ შენი ვერაობის ამბავი.

— ხომ არ შეიშალე!  
— შენ ის ახალგაზრდა გოგონა მოგწონს და სწორედ ამიტომ გინდა ერთბაშად დეზდემონა მიხალო ცხვირბირში, გიცნობთ, რა შევლიც ბრძანდებით ბებერი რეჟისორები.

— გონს მოდი!

— ის როგორ იყო, კაბინეტში რომ შეიყვანე და თითქმის გამოსაცდელად რეპეტიციებს თვითონ აწვდიდი! მერე თმებზე ხელი მოუსვა და კიდევ აყოცე...

— თმებზე ვაყოცე, როგორც ნიჭიერ ახალგაზრდას... გრცხვენოდეს!

— შენ აყოცე და მე გრცხვენოდეს!

— მისი ხნისა მაღელ შეილიშვილები გვეყოლებათ.

— დეზდემონას როლს როგორც ყოველთვის, მე ვითამაშებ, მორჩა და ვათავალა ვითომ რას მიწუნებ! რა მაკლია... სახეზე ნაოჭები გაქვსო. მერე გიკვირს? მაშ, ჩემი ხნის ქალს სარკესადი პრიალა ლოყები უნდა ჰქონდეს? მაშ გრძობი რისთვის-ღა გამოიგონა ღმერთმა... ან იქნებ კბილებს მიწუნებ! აბა შემომხედ როგორ თოვლივით თეთრი კბილები მაქვს ორ მწკრივად ჩაორიგებული. არც ერთი კბილი არ მაკლია... ორმოცი წელი ახალგაზრდა გოგონების როლზე ვასრულებ და ახლა გინდა გამაშწაო? ვერ მოგარიგი. სცენაზე მე გზო ისევე ახალგაზრდა ვარ.

... მერეო დღეს გამოცხადდა როლების განაწილება. მთავარი რეჟისორის ცოლი პარასკევა დეზდემონას

როლზე დანიშნეს. ის ახალგაზრდა მსახიობი ქალი ლიანა კი ამბოხის როლს შეასრულებდა.

თეატრის მთელი კოლექტივი დაღონებული იყო. განსაკუთრებით გული უჯდებოდა მშვენიერ ლიანას. „მაშ რად შეგმიბოდა დეზდემონას ვითამაშებო, თუ არ შეეღობა?“, — ფიქრობდა ლიანა და თვალები ცრემლით ევსებოდა.

გვიდა დრო. სექტეტალი მზად იყო. დეზდემონა ვერავითარი გვირგვინი ვერ გახალაგაზრდავდა. ეს კი იყო, რომ დილილის მომენტში ხიზლავდა მაყურებელს თეთრად ჩამწკრივებული კბილებით.

ოტელოს როლის შემსრულებელი იღრინებოდა, არ მოსწონდა თავისი დეზდემონა. გენერალურ რეპეტიციებზე იმის მაგივრად რომ ეთქვა „მე ის შევიყვარე ჩემო ქრითა თინაგრობისთვის“, — ასე სთქვა: „მე ის შევიძულე როგორც ქირა“ და ასე შეძლედა.

ასე იყო თუ ისე, პრემიერა შედგა. დეზდემონას როლი არ ეშუღებოდა, დღი გრძნობითაც თამაშობდა, მაგრამ როლი არ შევიწინა, არა და არა.

სექტეტალი დასასრულს უახლოვდებოდა. იწყებოდა დეზდემონას დახარბობის სცენა. შემოიჭრა ეკიტი შემკლილი ოტელი. მივიდა ქალის საწოლთან.

— ილოცი უნდა დაგახრიო? — უთხრა ცოლს.

დეზდემონა ლოგინიდან წამოხტა.

— გონს მოდი, ჩემო ძვირფასო! — შესძახა მან ოტელოს.

— შენ ქასი გიყვარს!

— ტუტული! იყვირა დეზდემონამ და სწორედ აქ მიხდა საშინელება. დეზდემონას პირიდან გამოუვარდა კბილებს პროტეზისა და იატაკზე დაეცა.

დეზდემონას თავზარი დაეცა. როლი სრულებით გადავიწყნდა და უკბილოდ ჩიფჩიფი იწყა:

— ჩენ გენახვალ, ოტელი, ნუ დამახრწად, ჩემიბა-რაღე.

— არა, უნდა მოკვდე!

— ნუ იეამ მაგ მაქმეშ, შირჩხვილია.

— შენ ქასი გიყვარს!

— მე კეთილ მიყვარს? შაიდან მოიგონე. ეშ პრო-კოკაია.

— ჩემი ცხვირსაბოცი მოსთვის მივიცია.

— ჩხვირჩახაზი მე არ მომიჩია კაშიოშთიშო...  
მაყურებელი მზიარულად ხარხარებდა. ეგონა, რომ ოტელი ახალი ინტერპრეტაციით არისო დადგებული და რომ პროტეზის პირიდან გამოვარდნა, უკბილოდ ჩიფჩიფი, საუთარი სიტყვებით როლებს შესრულება რეჟისორ-დამდგმელის ინტერპრეტაციის შედეგი იყო.

მთავარი რეჟისორი ლოგიდან უტკეროდა სექტეტალს. დეზდემონას რომ პირიდან პროტეზი გამოევაოდა, თავზარდაცემული წამოხტა და კელისებისაყენ გაქინა.

— დაახრჩე, დაახრჩე, შე უსინდისო! — ანოშენდა კულისგანან რეჟისორი ოტელოს როლის შემსრულებელს, მაგრამ იგი ანაწინებდა.

— დაახრჩე-მეთქი შე საზნობარო, თორემ როლიდან მოგხსნი! — ემუტკრებოდა რეჟისორი.

ოტელი მიხერხებულად მოვლარა კუთხის ფარდას და რეჟისორს წასჩურჩულა: „სიამოვნებით წვაახრიობ-ლი, მაგრამ ხომ უნდა მომაწოდოს უქანასკნელი რეპეტიცია“.

— დაახრჩე-მეთქი, შე... — უკვე ხმაბალა შეუტყვარა რეჟისორმა.

ოტელი ეძვერა დეზდემონას. წუთის შემდეგ გულ-მუწუხებული დეზდემონა ამბოხის როლის შემსრულებლის ლიანას მკვლელებზე ეყენა.

— ნუ ლეღავთ, ბებია... ამშვიდებდა ახალგაზრდა მსახიობი, — სცენაზე აღბდა უარესი ხდება ხოლმე. მაყურებელი კი ტაშს უტყოდა და მსახიობებს და რეჟისორს უხმობდა.

## СО Д Е Р Ж А Н И Е

Урожайное полуостолетие . . . . .	3
А. Календарашвили — Народный театр на широкой дороге . . . . .	6
Т. Табидзе — Посвящена юбилею . . . . .	13
Г. Якашвили — Источник существования общества . . . . .	8
Большой разговор по вопросам драматургии . . . . .	9
Современность на сцене (обсуждение гастрольных спектаклей Батумского театра)	11
И. Маусурадзе — Прежде всего четкость произношения . . . . .	14
У театральной афиши республики: . . . . .	16
Г. Батиашвили — «Мы, его величество» . . . . .	16
Н. Элиашвили — «Искусство комедии» . . . . .	16
В. Кикиадзе — В Цхинвальском театре . . . . .	18
А. Шалуташвили — Кутаисский кукольный театр . . . . .	19
А. Табатадзе — «Нино» . . . . .	20
Е. Карелишвили — «Семья» . . . . .	20
Вспомним заслуженных деятелей: . . . . .	21
Д. Чхеидзе — «Нино Давиташвили» . . . . .	21
Н. Кевлишвили — «Наталия Джавахишвили» . . . . .	22
Интервью с академиком Георгием Ахвледиани . . . . .	23
На родине великого актера . . . . .	23
Г. Абрамидзе — Радость . . . . .	24
На съездах братских республик . . . . .	24
Гастролы театра Руставели в Румынии: — Говорят участники	25
Обсуждают итоги . . . . .	26
Е. Карелишвили — Большой мастер кисти . . . . .	27
По страницам Советской прессы . . . . .	28
Юмор: — Г. Лиадзе — «Зубы подвели» . . . . .	30



Т О Г  
В Е С Т Н И К

ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Тбилиси—1967

№ 4 (42)

ფასი 18 კაპ.  
Цена 18 კოპ

გადაეცა წარმოებას 4/1 1968 წ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/II 1968 წ.

ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 2

შ. 16

უე 01008

ტ. 250

---

საქართველოს თეატრალური საზ.-ბის სტამბა. თბილისი, გორკის ქ. № 3  
Типография Театрального Общества Грузии. Тбилиси, ул. Горького № 3